# ცისკარი.

**1866**

მაისი

## წელიწადი მეათე.

... ება თხზულებათა:

... ისე გასარჩებული


I — აღსარება ქალის... ან. იმან... ონ დელორმისა. (ნათ.) გრიგოლ რჩე-ულოვისა.

II — ლექსები: მწყემსი ი. კერეს. დედა შვილს — კნ. ბარ. ჯორჯაძისა. —

III — პოეტი და მე ვანო ბარათოვისა

IV — მუზიკის ისტორია — იურკევიჩისა

V — ლოტოს აღთქმა. ივანე როტინიანცისა

— სხჳა და სხჳა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)



ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

ბევრჯელ მომივიდა მე ფიქრათ ჩამომეყვანა ჩემთან პარიჟში ორი ობოლი ჩემი დისწულები. ესლა შევუდექი ამ ფიქრის აღსრულებას და მივწერე გამუზარს შალონში იმათი ჩამოყვანა.—ჩქარა ჩამომგვარა იმან ყმაწვილი ქალები; უფროსი მადლენა იქნებოდა ჩვიდმეტისა და უნცროსი ლუსილი თხუთმეტის წლისა.. მე მაშინვე დავუჭირე მათ გუვერნანკა. (ქალების ოსტატი) ჩემს სახლში უკვე აღარ ისმოდა ხმა სიყვარულისა. მე გუნებაში ჩავიდე, რომ იმათი მეორე დედა მე ვყოფილვიყავ: თითქმის შინიდგან მე ფეხს აღარა ვჰსდგამდიკარზედ, და ვჰპოვებდი ბედნიერებას ჩემს შინაურობაში. ექვსის თვის შემდეგ მე გავათხოვე მადლენა ისპანიის მარკიზზედ და მზითვად მივეცი შვიდი ათასი თუმანი.—მაგრამ ლუსილს კი არა ჰქონდა სურვილი ქრმის შერთვისა და მეფიცებოდა, რომ მე არასოდეს არ მომშორდება. მე მიყვარდა ეს ქალი გაგიჟებით და მიხაროდა, რომ სიბერეში მეყოლ-ებოდა ეს სანუგეშებლად, დამატირებლად და დამმარხავად.—

მარკიზა რამბულიე აღტაცებაში იყო ჩემის მოქმედებით. იმან კვალად გამიღო კარი ლურჯის ოთახისა, და მომცა წარჩინებული პატ-ივი ამით, რომ დამპატიჟა თავის ქალის ჟულიოს ქორწილში, რო-მელიც გათხოვდა ოც და თვრამეტის წლისა.—

იმის ქმარი ისე გახარებული იყო რომ ჯერ ხალხი არ გამოსულ-იყო იმათ საწოლიდგან, იმან ყველასთანვე ღილების ხსნა დაიწყო.—ეს კაცი არ იყო გასამტყუნავი: ოცი წელიწადი იყო, რაც ჰსთხოვდა ჟულიოსა, და არ აძლევდნენ. ბოლოს ამისმა მოთმინებამ და დადგ-რომილებამ დაამარცხა ისინი.—

ეს ოდესმე გამოჩენილი საზოგადოება რამბულიესი დაბერდა და ემზადებოდა წასაქცევად. იქ კარგი აღარა ისმოდარა. ქრასვა, პრან-ჭიობა, მაღალ ფრაზზედ გაუგებარი ლაპარაკი—ესენიღა იყო იმათი დროს გატარება. იქ ყმაწვილი კაცები უკვე ამთქნარებდნენ.

ნინონა გამოგდებული იყო დიდხანს იმათის კრებიდგან, როგო-რც ქალი მსუბუქის ქცევისა.—ბოლოს შერიგეს ისევ ბევრის პრინ-ცების შუამავლობითა. მაგრამ ეს წყენა ნინონას არ გამოელია, და ამოიყარა იმათი ჯავრი.—ნინონასა ჰყვანდა მეზობლის გადამკვრელი ოსტატი, რომელსაც ხშირად მოჰყვანდა ხოლმე თან თავისი პატარა-ვაჟი. ნინონამ შეამცნია ამ ყმაწვილს მახვილი გონება და დაემუქრა-იმის მამას, თუ რომ სკოლაში არ მიაბარებს და არ აზრდის რიგიანათ-

ამ ყმაწვილსა, ის გამოჰკსცვლის ამას და სხვას მიჰკსცემს მებელს გადასაკვრელად. ამ მუქარებამ დიდად იმოქმედა ამაზედ: თუმცა გულში ჯავრით, მაგრამ მაინც მიაბარა მან თავისი შვილი სასწავლებელში და ნინონას ფულითა და საქმით დახმარებით ეს ყმაწვილი — გაიზარდა დიდს სასწავლებელში. ამ ყმაწვილმა გამოიტანა დიდი ნიჭი კომედიების წერისა, ეს იყო მოლიერი, რამდენჯერმე წაიყვანა ნინონამ ეს ყმაწვილი კაცი რამბულიეს კრებაში და უთხრა, რომ ყოველივერი დაისწავლოს, შეამცნიოს და აკრიფოს წვრილად ამ კრების ხასიათები. — მერმე ნინონამ გამოუცხადა მოლიერსა, რომ ამათზედ უნდა დაწეროს რამ სამასხარო. ორს სამს კვირაზედ გამოვიდა მოლიერისაგან დაწერილი კომედიაა «პრანჭიები.» ეს პირველად წაიკითხეს რამბულიეს კრებაში. ყმაწვილი კაცები ისოცებოდნენ სიცილით ამის კითხვაზედ და მოხუცებულები ცოცხლად ჰხედამდნენ ამ კომედიის მოქმედს საკუთარს პირებში თავიანთ თავს. — როგორც ხეტყვა იხე ეცემოდათ ჭკადარა თავში ყველას მახვილი. დაცინვა და მასხარათ აგდება მოლიერისა, — ბევრს კბილეს უჭერდნენ, მაგრამ ვერავინ ვერ იმაგრებდა თავსა რომ არ ეცინათ. — მოხუცებულნი გრაფინიები, დაჩვეულნი მაღალ ფრაზზედ ლაპარაკსა და რაღაც სულელურ პრანჭიობასა, მზათ იყვნენ თვალები ამოეჩიჩქნათ მოლიერისთვის; მაგრამ ნინონას ჩემი პარტია ამხნევებდა ამის კითხვაში. ერთმა ამ ბებრებთაგანმა ქალმა გამოჰკსტაცა მოლიერს რვეული ხელიდგან და ჩააგდო ბუხარში
ოჰ! იმას არ ახსოვდა, რომ თავის დღეში რამბულიეს ბუხარში ცეცხლი არ ანთებულ იყო. ეს სამუდამოდ სასაცილოთ ჰქონდა მარკიზასა, რომ ცეცხლი ეჯავრებოდა. —

— თუ ღმერთი გწამთ, უჩურჩულა ჟულიომ თავის დედას: ნუ გწყინთ, დავიცვათ ჩვენი თავის პატივი, და მერმე რა მიუბრუნდა მოლიერს უთხრა:

— თქვენი ჭკუა შორს წაგიყვანსთ, თუ რომ გზაზედ არ შეხვდება არ ბასტილიის ანუ შატლეს.

— ოო, თქვენო ბრწყინვალებავ! მე არა ვრაცხამ ჩემ თავს ღირსად მდევნილებისა,

— იქნება, მაგრამ ჰკაზინს გამოჰკაცვლევენებენ. ხოლო რადგანაც აქ შეკრებილან თქვენი პატივის მცემელნიც, ჩვენ მივცემდით მათთვის მოისმინონ ბოლომდინ თქვენი პატიოსანი თხზულება. ჩვენ მეტად

კარგათ ვიცით ვალნი სტუმართ მიმღეობისა, რომ დაუმალოთ მათ სიხარული, და ვიხოვთ მხოლოდ ნებას არ გაგვიყონ ჩვენ ეს სიამოვნება. ჟიულიომ თავი დაუკრა მადლიერად, ჩაავლო ხელი თავის დედას და ქმარს და დაწყნარების ნაბიჯით შევიდნენ [illegible] ოთახში.— ყოველი პრანჭია ბებერი, და ისინი, ვისაც ამ სახლის დათმობა არა სურდა, თან შეჰყვნენ მათ,—ახლა ვაჲ ჩემი ბრალი! ჰსთქვა მოლიერმა, რადგანაც იმის მსხვერპლები დაიმალნენ: რამდენი მტერი გავიჩინე.

— და ამასთანავე რამდენი მეგობრები მოჰმატენ, დაუმატა ნინონამ, რაც აჩვენა დანაშთენი კრებას.

თქვენ გასაოცარი ამბავი მოახდინეთ! უთხრა მოლიერს ერთმა კერცოდინამ.

— როგორც გაყვაცი სარდალი მიუხდეს მტერს თავის ბანაკში (ბინაზედ) და ამოწყვიტოს, შენც ისეთი საქმე მოგივიდა, ჩემო მოლიერო, უთხრა პრინცმა კონდემ.

— უფალნო, ჰსთქვა ნინონამ: ბოროტსათ ნუ მოვისმარებთ ჩვენს დამარცხებას. მარკიზა რამბულიესკრება დაიმალა. აღარ არსებობს; პატივისცეთ განსვენებულების მტვერსა? ჩვენ ყველას აქ გველიან კარეტები და ტასკრავანდები.... წამობრძანდით ჩემთან, იქ დავასრულოთ კითხვა ამ საუცხოვო თხზულებისა.

აღტაცებით მიიღეს ეს მიწვევა. ამ დღიდგან მარკიზას რამბულიეს სასახლე შეიქმნა დატევებული და ნინონას სახლმა შეითვისა ეს გაქცეულნი [illegible] არათუ მარტო იმ ღამეს, არამედ სამუდამოდ.—

ამ გვარად ორმოცის წლის კრება ერთს ღამეს დაშალეს—ნინონას სილამაზემ და მოლიერის კომედიამ.—

აი რა იყო საგანი კომედიისა. ერთს კეთილს სოფლელს ჩამოეყვანა პარიჟში თავის ქალი და მისწული გასათხოვებლად. ამ ქალებს გამოუჩნდნენ პატივცემული საქმროები. მაგრამ რადგანაც ამ ქალებს ბევრი რომანები ეკითხათ და ეს ამათი საქმროები არ ემგზავსებოდნენ იმ რომანების გმირებსა, ესე იგი არა ჰქონდათ იმათი მასკარამოსვრა, იმათი მაღალფერაზზედ ლაპარაკი, იმათი კოსტუმათ ჩაცმა, ამისთვის ამ ქალებმა დაიწუნეს ეს საქმროები.—განაწყენებულებმა ამათ საქმროებმა მორთეს თავიანთი ლაქიები უკანასკნელს მოდაზედ, ჩაუდეს პირში რამდენიმე მაღალფერაზე სიტყვა, და გაგზავნე იმ ქალებ-

ების სათხოვნელად.—ესენი აღმოჩნდნენ ამ სულელი ქალების ფიქრით ღირსნი ამათის ქრმობისა და დაინიშნენ.—მაშინ მოუვიდათ ამ ლაქიებს თავიანთი ბატონები დანიშნულების სახლში და იქიდგან პანდურის ცემით გაისტუმრეს ესენი თავიანთსა,—რადგანაც მითომ ისე ადრე მოსულიყვნენ ამ ქალებთანა, რომ ჯერ იმათ არცა წესები დაეწმინდნათ და არც სამოვრები დაედგათ ბატონებისა.—

ორის დღის შემდეგ დაცემისა რამბულიეს კრებისა, შემოვიდა ჩემთანერთი ჩემი მცნობი ბერი, დიდი კაცის შვილი, რომელი ყველგან იყო მიღებული, სახელი ამისი გონდი. ამან დაიწყო:

—დიდიხანია, მარკიზავ, მინდოდა მეთქვა თქვენთვის ერთი საიდუმლო, მაგრამ შემთხვევულება არ მომეცა.

—აბა ბრძანეთ, რა საიდუმლოა ეგა?

—თქვენ ჭკვიანი დედაკაცი ხართ... რასაკვირველია მიხვდებოდით, რომ ჩვენ მაზარინი ძალიან გვიშლის; დრო არის უთხრაათ იმას—აჭიდა!

—მე არცარას მიშლის და არც გავერევი მაგ ოქმაში, უპასუხე მე.

—ეგ არ შეიძლება, მარკიზავ! უშენოდ ჩვენ ვერას გავაწყობთ, მითხრა ბერმა: პირველი მოქმედება მეთქმისა ამაში მდგომარეობს, რომ უნდა განვათავისუფლოთ გერცოგი ბოფორი ციხიდგან და დაგიბრუნოთ თქვენა.—

—ბოფორი? მართლა ბრძანებ?.. განმიმარტე, რა საქმია ეგა?

—ჯერ სიტყვა მომეცით, რომ ჩვენს დასტას ეკუთვნი.

—მომიცია სიტყვა.

—კარგი.—იცოდე მაშ, ჩემო მეგობარო, რომ პრინცები ძალიან უკმაყოფილონი არიან სასახლისა. იმ წყეულმა იტალიანელმა მელა მაზარინმა ისე მიიზიდა თავისკენ ანნა დედოფალი, რომ ლამის კარდინალ რიშელიეს ცხონება შეუთვალოთ კაი კაცობისათვის. ის თუმცა თავებს გვაურკვინებდა, მაგრამ კაცი მაინც იყო, ეს მაზარინიკი—მინისტრი კი არ არის, ჭსწორეთ მასხარაა! ვინ მოითმენს ამის ხელქვეითობას.... უნდა სახემწიფოც და ტახტის მემკვიდრეც განვათავისუფლოთ ამისაგან... აცი რას შვრება? ეს მელა ნებას არ აძლევს, რომ ლუთის არას (პატარა მეფის შვილს, ლუდოვიკ მეთოთხმეტეს) წიგნი ასწავლონ! იმას უნდა აღიზარდოს მეფე სრულებით

ბრიყვათ, იმიტომ რომ თვითონ განაგონ სახემწიფოს საქმეები.—არ შეიძლება გაგრძელდეს ეს ამბავი. უნდა ბოლო მოეღოს. პრინცები მზათ არიან აუშონ ბაირაღი წინააღმდეგობისა. ჩვენ დავაწყეთ, რომ თქუენს სახლში მოვახდინოთ ხოლმე ჩვენი კრებულება და ყოველი რჩევა. თქვენ მოშორებით ჰსდგეხართ სასახლიდგან, ამასთანავე მე ოდესმე ვიცოდი ჩემი შემოსავალი მიწაში გამოტანილი!!-. ჩვენ იმ ქუჩაში შემოვალთ და აქედგან გამოვალთ... ამაზე უკეთეს სახლსა ჩვენის დაწყობილებისათვის მთელს პარიჟში ვერ ვიპოვნით. დღეს საღამოზედვე ნახავთ თქუენს საყვარელს გერცოღს ბოფორსა.—ციხის კომენდანტიც ჩვენი გახდა... მაშ ეხლავ მე გაცნობებ პრინცებსა თქვენს თანხმობაზედ... მოემზადეთ იმათ მიღებას...

და ეს ბერი ისევ ისე მსწრაფლად გაქრა, როგორც შემოვიდა.—

უნდა ჰსწორეთ ვსთქვა, რომ ჩემი ნამდვილი ფიქრები მიქცეულნი იყვნენ პატივისმოყვარეობისადმი. მე უალერსებდი თვით უგნურს იმედსა.—მე მიწოდებდნენ მარკიზა-დესენმარსი, მაგრამ სიცოცხლის ჟამს ჩემის ქმრისა, მე არ მიხარებულნია არავითარის იმის სახელის პატივითა. იმისაგან მხოლოდ დამრჩა ტიტულის აჩრდილი; ზოგი ისევ მარიონ დელორმს მეძახდა, ზოგი კი უფრო დაცინვით მარკიზასა.—სიხარულით ვტაცე ყელი შემთხვევასა—გამომეცხადა მარკიზობა გერცოღინია ბოფორობაზედ, რომელიც ნებას მაძლევდა სასახლეში სკამისას და ადგომ ჯდომაში—პრინცესებთან!—

ამ პატივის მოყვარეობამ გამაბედვინა მიმეღო მონაწილეობა პრინცების შეთქმაში.—რადგანაც ამის შემდეგ დაიწყებდნენ კაცები ჩემს სახლში სიარულსა, და ურიგოარიყო დაჰსწრობოდა ხოლმე ამათში ჩემი დისწულიც ლუსილი, ამისათჳს გუბერნანტკასთჳს და იმისთჳს გავამართვინე სადგომლად ზევითი ატაჟა ჩემის სახლისა,—და უბრძანე, რომ მანამ მე არ მოვიწვიო, ისინი არ ჩამოვიდნენ ხოლმე მირსა —

იმ საღამოზედვე მოვიდნენ ჩემთან პრინცები, რომელშიაც პირველი იყო კონდე, ოც და ორის წლის ყმაწვილი კაცი, მაგრამ გათქმული სახელოვანი სარდალი. სულ იქნებოდნენ ოც და ხუთი კაცი, სულ სასახლიდგან და პარლამენტიდგან.—ესენი სხვა და სხვა საათზედ შემოდიოდნენ სენმარსის სახლში და იქიდგანაც—ჩემის გზითამოდიოდნენ ჩემთან. არ ვიცი, საიდგან ჰსცოდნოდა გო-

ნდის ეს ფარული გზა.—მაგრამ ამ დროს მძრახლა ბერმა ყოველი-ფერი იცოდა პარიჟში.—ციხიდგან განთავისუფლებული ბოფორიც მოვიდა და ჩამივარდა მუხლებში. ის მეფიცებოდა, რომ მხოლოდ ჩვენმა წარსულმა მოგონებამ მიჰსცა მას მხნეობა მწუხარების ატანი-სა საპყრობილეში. მხიარულებით უსმენდი მას. ჰსჩანს ქალის ბედ-ია—მუდამ ერწმუნოს უანგაროს კაცის სიყვარულსა. ჩვენ ქალები ვერა ვჰპიდამთ გული დავიბეროთ. ბოფორი იქნებოდა ოც და თო-რმეტის წლისა. დიდი განსხვავება იყო ჩვენს წლოვანებაში. მაგრამ მე დიდი ხანია ხელი ავიღე ჩემის წლოვანების თვლაზედ. ამასთანავე არცარას ბოფორი ახსენებდა ამის გამო, და მეფიცებოდა, რომ ის მზათ არის მთელის სასახლის თვალწინ დაიწეროს ჩემზედ ჯვარი, ოღონდ კი მაზარინის მინისტრობიდგან გამოდებას დაებრუნებინა მისთვის ძველის წყალობა.—მაგრამ ბოფორმა შემაშინა მე, რადგა-მითხრა, რომ მე უნდა დავმალო ის ჩემს სახლში, რომ უშიშარი იყოს მაზარინის მებრძოლისაგან და ეს უშიშროება შეეძლო იმას მოენდო მხოლოდ ჩემის სიყვარულისათვის.

როგორ დამეყენებინა კარგი ჩემს სახლში ლუსილის თვალწინ?—სულ დამწყვდეულ ხომ ვერ მეყოლებოდა ის საწყალი ქალი?

მაგრამ მომაგონდა, რომ გერცოგს შეეძლიან სენმარსის სახლში ჰბადგეს და მხოლოდ ჭამის დროს მოდიოდეს ჩემთან. მე ლუსილს წარუდგინდი იმას, როგორც ჩემს ძველს მცნობს მამულიდგან გამო-დებულსა რომელისამე პოლიტიკურის საქმისთვის, და ამითი დაიფა-რებოდა ჩვენში ყოველი საიდუმლო.—

მე გამოუცხადე ლუსილს საიდუმლო გზა მიწაში გათხრილი.—

სენმარსის სახლში დაუმზადე ქვეშაგები და ბოფორი შეიქმნა ჩემი მდგმური. ამ გვარად იმალებოდა ის ჩემს სახლში მთელი წელიწადი. ის სესხულობდა ჩემგან მრავალს ფულსა; ათიათასი თუმანი მეტი მქონდა მიცემული; ისიც ამლევდა ამ ფულს ბერს გონდის, რომე-ლიც ჩუმათ ურიგებდა ხალხსა და ამზადებდა მოახდინა საზოგადო აღრეულება.—რასაკვირველია ამას დიდს შემწეობას აძლევდნენ პრინ-ცებიცა, მეტადრე კონდე.—ხმა მაღლივ ლაპარაკობდნენ, რომ სახემწ-იფო მოხუცდა; რესპუბლიკას თხოულობდნენ, ანგლიის მაგალითმა გაუცხელა ყველას თავები და იწყეს წყენა იმ ხალხისა, რომელნიც სასახლეში მსახურებდნენ. ხშირად უმიზეზოთ ბაზრებში ჰსცემდნენ

ხოლმე სასახლის მსახურებსა შრომელთაც ეუბნებოდნენ, რომ ესლა მეფეები მოდაი აღარ არიანო,—

აღრეულება ემატებოდა ყოველ დღე; კანონებს აღარა აქვსთ ძალა და აღსრულება. დიდით პატარამდის წინაღმდეგობენ და ჩხუბზედ დგანან. ყმაწვილები შურდულს ისვრიან ქალაქს გარეთ. ბევრი იმათგანი დაიხოცნენ.

თვით სასამართლოებში ისმის ხმა წინ ღმდეგი დედოფლისა და მაზარინისა.—და იწერება ამათზედ მრავალი ანეკდოტები—საცინელი თუ ამაშფოთებელი ხალხისა.—

მაზარინის უნდა მოუღოს ბოლო ამ არეულობას. ის აჭერინებს ორს სოვეტნიკს, რომელნიც ჰბეჭდავენ მასზედ სხვა და სხვა მესაქცევარს ამბავებს.—ამ დროიდგან ნაპერწკალი ჩავარდა თოფის წამალში. ხალხმა იფეთქა. ბოფორს ირჩევენ ბაზრის მეფედ. ესეც უბრძანებს სასახლეზედ მისვლას. მას ემორჩილებიან. გუნდი ხალხისა, გონტის წინ მიძღოლით, მირბიან სასახლისაკენ და ემუქრებიან ანნა დედოფალს თუ ესლავ არ გაანთავისუფლებს დაჭერილთ სოვეტნიკებს. დედოფალს უნდა შემოჰკრას სილა ბერის გონტის, მაგრამ ეს ხელს უჭერს მას, და გამოდის სასახლიდგან გაცოფებული უფრო ასაგზნეირად ხალხისა.—

ჩვენთან მორბიან და მოაქვსთ ამბავი, რაც რამა ჰხდება ქალაქში. ჩვენ შიშით გარზედ ვერ გავსულვართ. მე ვამტყუნებ და გაყვედრი ჩემს თავს, რომ მეც ვშველოდი ხალხის არეულობაში.

მე ვხედამდი, რომ ამბის მომტანელებს ლუსილი განსხვავებითის ყურადღებით გამოჰკითხამდა ხოლმე ბოფორის ამბავს, და უმეტეს იმისთვის ჰსთრთიდა, ვიდრე სხვა მცნობლებისთვის. ბოფორი ვახშმათ არ მოვიდა; ჩემს დისწულს შფოთვა მოემატა და არც ამანა ჰსჭამა რამ, მე ვხედამდი რომ ლუსილი ცდილობდა შეემაგრებინა ოხვრაცა.—მე გამოცდილებით ვიცოდი, რა დაფარულიც არის ქალების ბუნება; მე არ დაუწყე ლუსილს გამოკითხვა, მაგრამ განვიზრახე ჩუმათ გამომეკვლია საიდუმლო იმ აღრეულებისა, რომელსაც ის ჩემთანაც ვერა ჰფარამდა.—მწარეთ შემიწროვდა გული, როცა წარმოვიდგა ჰზრათ, რომ იქნება ბოფორი და ლუსილი მე მატყუებდნენ.. მეტადრე ლუსილი, რომელიც ისე მიყვარდა, რომელსაც დედობას

უშკრებოდი.—მაგრამ ისინი ჰხვდამდნენ ერთმანეთს მხოლოდ ჩემ-თან, სადილევახშმის დროს და ერთხელაც არ შემიმცნევია იმათში არა-ვითარი ნიშანი ჩუმის სიყვარულისა ანუ სხვაფრივ დამოკიდებულებისა. ჩემი დისწული გუვერნანტკით ავიდა ჰსწორეთ ცხრა საათზედ თავის ოთახში დასაწოლად.—ჩემის ფანჯრიდგან ჰჩნდა სახლი, სადაც ბო-ფორი იდგა. მე მაშინვე შევიტყე, რომ ის მოსულიყო შინა, ამი-ტომ რომ ზეით ფანჯარაში გამოჩნდა სინათლე.

უეცრად მე შევიქენ მოწამე საკურველის მოჩვენებისა. თორმეტჯერ რიგზედ სინათლე ფანჯარაში ხან ჩნდებოდა ხან ქრებოდა. მე მაში-ნვე ეჭვმა გამიარა თავში. მე ავედ ლუსილის ოთახში და ვჰპოვე ისიც ფანჯარაში მდგომი თვალებ მიქცეული ბოფორის სახლისკენ.—მე თავი მისქდებოდა სიანჩლისაგან.მაგრამ შევიმაგრე ყვედრება,

—შენ ჯერ არ დაწოლილხარ, შვილო ჩემო! უთხარ მე.

—არა, დეიდაჯან. ამისთანა მშვენიერი ღამის,—მინდა ცოტა წმინდაჰაერი ჩავყლაპო, მე გავოცდი.—დარწმუნებული ვიყავ ეხლა, რომ სინათლე ფანჯარაში ნიშანი იყო რისამე. მე მაშინვე ჩამოველ მირ-სა.—

ათ საათზედ შეიკრიბნენ ჩემთან პრინცები და იმათი ამხანაგები; ბოფორიც მოვიდა. იმათ ილაპარაკეს იმ დღის გარდასავალზე და უსაროდა წარმართება საქმისა.

—ხვალ გვალად დაიწყობა ბრძოლა, ჰსთქვა ბერმა გონტიმ. უნდა ყველანი ჰსადრე შევიკრიბნეთ ბინაზედ. გამოვესალმნოთ ერთმანეთს და წავიდეთ დასასვენებლად.

ყველანი გავიდნენ. დარჩა მხოლოდ ბოფორი.

—რა საკურველია, ჩემო სულო, მითხრა იმან: შენ ისევ შენახული გექნება ხუთი ათასი თუმანი, რომელიც გთხოვე მოგემზადებინა ჩემთჳს

—გააღე კამოდი, და ამოიღე, უთხარ მე

იმან სიხარულით ამოიღო ეს ფული.

—არ ვიცი რა დედაკაცი ხარ, მითხრა იმან; თუ არ შენი შემწე-ობა, ჩვენ ვერას გავაწყობდით.—

—ახ, ღმერთო! მაშ ჩემი ქონება—ჩემი ქმრისა არ არის?—

—ჰო, რასაკვირველია, მარიონ... ეხლა გამოდის, რომ მე შენი მმართებს თხუთმეტი ათასი თუმანი... იმედი მაქვს გარდგიხადო... ღამე მშვიდობისა, სულოჯან!

გერტრუდი ჩავიდა ბაღში და იქიდგანაც ავიდა ჩემის გზით თავის სახლში.—მე მივიღე ჩვეულებრივი მშვიდი სახე, მოვემზადე დასაწოლად, გავისტუმრე თერეზა და გავაქრე სამთელი.—მერმე კი წამოვიხსი წამოსასხმელი და ჩუმათ ჩავიპარე ბაღში დასაზვერავად.—მე ყოვლის შემთხვეულობისათჳს ჩავირჭე წელშიც კატალონიის აპტარა, ხანჯალი რომელიც მომიტანაგერტრო ღინია დეშეკრეზმა,—ერთი საათი მეტი ველოდი [illegible], რადგანაც [illegible], რომ ნახვა დანიშნული ექნებათ ჭსწორეთ თორმეტ საათზედ, სამთლის შუქის გამოჩენის მიხედვით.

ღამე არ იყო ძალიან ნათელი, მაგრამ ოცს ნაბიჯზედ კაცის გარჩევა შეიძლებოდა.

აი, აიწია ჩემი გასავალის გზის ასახდელი. ამოყო ბოფორმა თავი ბოხჩით იღლიაში. აიარა ხეივანი; ის იყურება ჩემს ფანჯარაში, სამთელი მინთია თუ აღარა, და მივიდა სახლის კედლათან, ჭსწორეთ ლუსილის ფანჯრის ძირში; გერტრუდმა ბოხჩა ძირს დადო და ჩამოჯდა სკამზედ,—

გაიარა ნახევარ საათმა, წმინდა პავლეს ეკლესიის საათმა დაჰკრა შუაღამე. გაიღო ფანჯარა ჩემის დისწულის ოთახისა და მე ვხედავ გუვერნანტკას ბალკონზედ გამოსულს. იმან ჩამოუშო ძაფი, რომელზედაც ბოფორმა მოაბა ერთი წვერი აბრეშუმის კიბისა, და აჭსწია გუვერნანტკამ ზევით. კიბე დაამაგრეს ბალკონზედ. გერტრუდი ადის ზედა.

ჩემს ხელშია იმის ჯავრის ამოყრა.—

მე აველ მაშინვე ჩემს ოთახში და იქიდგანაც ავიპარ ლუსილისთან.—მუსლები მიკანკალებს; მე თვითონ მრისხანებით ვცახცახებ, მე დავდექ კარებთან; ბოფორისა და ლუსილის ლაპარაკი მესმის. მე დავუგდე ყური:

—რას ღუტუცობ, ჩემო მტრედო! შენს მამს არა აქვს მცირედი საფუძველი.... მე? მე მიყვარს შენი დეიდა?.. რას ემაწვილობ... ი კიდეც გადასულა სიბერესა... იმას რას უყურებ, რომ კეკლუცობს...ს ისე დახელოვნებულია ის სიყვარულში, რომ სიკუდილამდის კელს ვერ აიღებს კეკლუცობაზედ.—ეს ჩვენში დარჩეს, მე იმას ფულსაცა ვჰსტყუებ; აი აქ არის თითქმის ნახევარი იმისი რაც აბადია; თვითონ მომცა.—გარემოებამ დამღუპეს მე, გამაღარიბეს, მაგრამ იმის

ფულს სულ შენ დაგიბრუნებ, ჩემო სულო—ეს შენი მზითვის.... დედას შენს იმდენი კიდევ დარჩება, რომ სხვა თაყვანის მცემლები იყოლოს.—მე მომწყინდა იმასთან კამედიის თამაშობა. მხოლოდ შენ მიყვარხარ, ლუსილი, მხოლოდ შენ! ჩემის წიგნის პასუხად შენ მომეცი ნება გამოგიყვანო ამ გალიიდგან, სადაც მამვივით დაუმწყვდევიხარ დედას შენსა... მე უკვე მოვიმზადე უცხო სახლი... უარზედ ნუ დგეხარ, ლუსილი, შენი სირცხვილი უადგილოა.—შენმა გუვერნანტკამ ერთი სიტყვაც არ მოუმატა დედის შენის ისტორიის მოთხრობაში, სულ მართალია, რაც იმან გითხრა. მარიონ დელორმს ჰყოლია საყვარლები უთვალავი. მთელი პარიჟი გეტყვის ამას... ეხლა რომთითონ აქ იყოს, შენთანვე გაგტეხს იმას ყელსში.—

შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ჩემი ტანჯვა, ჩემი ჯავრი ამ ლაპარაკის დროსა! მე მივე თავს სიმხნე და შევაღე კარები. როგორც მეს დაკრულნი, სამნივ ისე შეკრთნენ ჩემს დანახვაზედ. სამნივ ემზადებოდნენ გაპარულიყვნენ.

—მე ყველა გავიგონე, რაცა სთქვი, უთხარ მე ბოფორსა; შენი ქცევა მასწავლებს მე, რაც უნდა ვჰქმნა; შურის ძიება იმასთან არ შეიძლება, ვინცა გძაგს... რაც შეგეხება შენ, პატიოსანო ჩემო დისწულო, მე გაძლევ სრულს ნებასა გაჰყვე ამ კაცსა... თქვენ ღირსი ხართ ერთი ერთმანეთისა.

ისინი სირცხვილის ოფლში გაიწურნენ და ვერც ერთმა ვერ გაბედა პასუხის მოცემა. მე გამოველ.

რა ჩამოველ ჩემს სახლში, მე დავიჩოქე.

—ღმერთო! ღმერთო! აი სატანჯველი, რომელიც შენდა გინახამს ჩემთვის! ამ ტანჯვის მოსამატებლად, შენ ერთხელ განმათავისუფლე სიკვდილიდგან, და მეორეთ სიგიჟისაგან,.. ოო, დიდია შენი გარდასთვეინებას!... არა! ცაშიც არ არის მართლმსაჯულება!

მე აქ ამოვთქვ ი და მრისხსანებით და ღვთის გმობა... აღვავლინე ცისადმი ვედრება—მაგრამ ამ ძრიელ ს მოძრაობით მე დავეცი და გული შემიღონდა . . . . . . . . . . . . . . .

როცა მოვედ გონებაზედ, ბნელაში ვიყავ, მე ავანთე ფანარი და ჩავედ ბაღში. აბრეშუმის კიბე აღარ იყო მობმული ბალკონზედ. ჩემი ჩასავალის გზა დახურვილი იყო. დამნაშავენი გაქცეულიყვნენ.—

რა საშინელი ისტორიაა, ოჰ, ღმერთო ჩემო!

ფარდა ჩამომეხსნა თვალებიდგან, მე ვთრთი!... ღმერთო! მე ვგრძნობ მარჯვენას შენის მართლმსაჯულებას. ტყუილად ვცდილობ შევამსუბუქო სიმძიმე ჩემის ცოდოებისა.

მე ვიყავ უმორჩილო შვილი, და რა ავშფოთდი მშობლების უფლებაზედ, გამოვიქეცი პარიჟში. აქ პირველნი ჩემი ფიქრი წარტაცებულნი იყვნენ მიჯნურობის სურვილით. მე მივყავ გული ჩემს პირველს კეთილის მყოფელს, ჩემს ნათლიას.—მე გამოვიპარე წმინდანების სადგურიდგან, ღვთის სახლიდგან, იმიტომ რომ ამეხსნა აღთქმა.—არ განვლო დრომ პირველის სიყვარულისამ, როგორც ერთს თვეს შემდეგ ბესომპიერმა შემაბა მეორეს ხელზედ ბორკილი უპატიოსნობის. ახლა ამის შემდეგ რა ქცევა გამოვიჩინე?—მე კელითა და ფეხით ჩავიფალ ლაფში, მღვრიე ლაფში, და გარყვნილების წუმპიდგან კიდევ ამპარტავნებით ვიწევდი თავს ზევითა!.. ჩემი შერცხვენა ვერ აიტანა უმაწვილმა კაცმა, და იმან მხოლოდ იმიტომ ირჩია სიკვდილი სიცოცხლეს, რომ ის შეხებოდა უცოდინარი უნამუსოსა.... ჯერ მიწა არ გასწორებულიყო იმ საცოდავის საფლავზედ. მე შევუდექ კვალად ძველს გარყვნილებასა: მე მივუდე ჩემი კეკლუცობა საზარელს პოლიტიკასა! ბუკინღემო, ეტენო! თქვენი ნაწყენნი აჩრდილნი თითქოს თვალწინ დამირბიანო!... ეს ვიღასი მოლანდებაა?... სენმარსი, ჩემი ქმარი!.. მე დავაბეზღე ეს კარდინალსა!... და თუ არ მე, იქნება ეს კეთილი ჭაბუკი, სიცოცხლით და ბედნიერებით სავსე, ყოფილიყო პირველი საყვარელი მეფისა და სამეფოსი...

შემიბრალე! ყველას ახდილნო!.. ჩემს თავს მეკე გარდავასხდევინებ.. ოჰ, სიცოცხლე მომძულდა, და ვესწრაფვი თქვენთან შეერთებას.....

ეხლა მრჩება მხოლოდ განვიმარტოთ, როგორ ჩაგვივარდა ჩვენ ეს მარიონ' ის წერილები ხელში.

გრიგოლი ... ყველასაგან პატივცემული ვაჭარი შემოვიდა ერთ-სელ ჩვენს კაბინეტში. ამას იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი საკმაოდ მძიმე მუხის ყუთი, გაშავებული დროებისაგან.—

—აქ შემოხედე, მითხრა იმან მე: აი რა ვიპოვნე ძველი სახლის კედელში, რომელსაც ვაქცევინებ, რომ იმის მაგიერად ახალი ავაშენო. მე მეგონა, რომ საუნჯე ვიპოვნე, მაგრამ ძველი ქაღალდები კი გამოვიდა.

ყუთში იდვა რვეული, რომელიც სიძველით ყაროდა, დროებისაგან გაყვითლებული იყო და სულ ნაწერი იყო წვრილის ნარჩევის ხელით თითქოს ქალისაგან.

ეს იყო ის აღსარებანი, რომელიც თქვენ წაიკითხეთ,

ყუთის ძირში, პირველის ხელნაწერის მოშორებით. მეორეც იყო, უფრო სხვა ნაირი ხელი.

ამაში ეწერა შემდეგი:

მარიამობის თორმეტს (1648) ათას ექვსას ორმოც და რვასა წელიწადს დილით შვიდის ნახევარზედ, მე მივიღე მარიონისაგან ბარათი, რომელიც ძნელად გაირჩეოდა; ის მთხოვდა მიმეტანა იმასთან,— ძალიან ჩქარა, რომელიმე საწამლავი, რომელსაც ჰქონოდა მოქმედება მსწრაფელი და უეჭველი. ამ წერილზედ ეტყობოდა ძლიერი აღშფოთება და საშინელი არეულობა ფიქრისა.

ბევრჯელ შევამჩნიე მე, რომ მარიონის მორჩენა სიგიჟისაგან საიმედო არ იყო. მცირედი მწუხარება აკაპასუხებდა იმის ტვინსა, რომელიც საშიში იყო.—რათ უნდა იმას საწამლავი? მე იმისთანა ხასიათის კაცი არ ვიყავი, რომ მეშველნა, თავი მომეკვლევინებინა იმისთვის

მაინც კი ჩემის აფთიაქიდგან აიღე პაწაწა შუშა და წაველ მარიონთან. მე ვპოვე ისა თავის ბაღის ბოლოს ოთახში, რომელიც გარდაექცია ის საწერ საკითხავ ოთახად.—

—ქმრო, მითხრა მარიონმა: აი ჩემი ანდერძი: შენ აქედგან ნახამ რომ უმეტესი ნაწილი ჩემის ქონებისა შენ უნდა დაურიგო ღარიბებსა, და დანარჩენი ჩემს ერთგულთ მოსამსახურეთა თერეზას და ერასენსს. მე მგონია თხუთმეტი ათასი თუმანი მაქვს, რომელიც მიბა

რია ზარათუსა; ამ ყუთშიაც ჩემი ბრილიანტეულება არის; აქვე ამ ყუთში დევს დასვეული რვეული: ეგ არის ისტორია ჩემის სიცოცხლისა, შენ გამოჰსცემ ამ ისტორიას. მარჯვე დროს, ხაცა შენ თვითონ მოინდომებ ან როცა ამოწყდება ის ხალხი, რომელნიც ამაში არიან მოხსენებულნი.— ესრეთ, ჩემო მეგობარო, ყოვლის რიგით მე შენ გნიშნავ აღმასრულებელად ჩემის ანდერძისა. ესლა მომეცი ისა, რაცა გთხოვე ზარათით. ის ძალიან გაყვითლებული იყო, მაგრამ სრულებით დამშვიდებული მელაპარაკებოდა.

—როგორა! მარიონ, შენ გინდა თავი მოიკლა? ვჰკითხე მე აღრეულმა.

—მანდა, ექიმო, შენ ხომ იცი ჩემი ერთგული მეგობარი ხარ; ნუ გამიწევ წინააღმდეგობას ჩემს განზრახულებაზედ; მაგითი მხოლოდ განაგრძელებ ჩემს ტანჯვასა. მე იმიტომ მოგმართე შენა, რომ ხანჯლით ვერ გავბედე თავის მოკვლა.

იმას სტოლზედ ედო პატარა მახვილი ხანჯალი.

—ოჰ, უბედურო, შენ გიცდია კიდეც ამითი თავი მოგეკლა?

—ორჯელ, ექიმო... ჰხედამ, ორ ადგილასა მაქვს გაჭრილი... ხელი დამიღუმდა, ვერ გავბედე.

—რა შეგემთხვათ განა, რა იყო?

—საკუთრად არა ფერი. სილამაზე მომეშალა; მე დედაკაცი აღარა ვარ; ეს მე შემამცნევინეს; რასაკვირველია მკაცრათ მამექცნენ, მაგრამ როდისმე ხომ უნდა ეს მომხდარ იყო არცა ვჩივი ამაზედ ჩემო მეგობარო, მე მიმიტევებია იმისთვის, ვინც მიმიყვანა ამ განწირულებამდინ.

—მარიონ! ეგ ხომ სიგიჟეა! აბა იფიქრე კარგათ შენი განზრახვა?,.

განა შენ იმედი გქონდა რომ მეც შეეწევობას მოგცემდი თავის მოკლაში? მარიონმა წამოავლო ხანჯალს ხელი.

—უარს მეუბნები, ექიმო? მაშ მე ისევ ვცდი ამითი ყელი გამოვიჭრა.—იქნება შენთან უფრო გაბედულობა მომემატოს.—

—შეჰსდექი! შეჰყვირე მე: შედექ... მე დაგემორჩილები.

მე ამოვიღე ჯიბიდგან პაწაწა შუშა. იმას უნდოდა ხელიდგან გამოეგლიჯა შუშა ჩემთვის, როგორც იმისი მოახლე შემოვარდა ჩვენთან შეშფოთებული, შეშინებული სახით,—

—ჩვენს სახლს სალდათები შემოერტყნენ; ძალათ შემოგვეცვიდნენ ეზოში დედოფლისა და მინისტრის ჰასხლობით..... ჩქარათ, ჩქარათ, თავი მოირჩინეთ.—კარგი, თავს მოვირჩენ, უთხრა მარიონმა გულ გრილად; შენ ყოველთვის ერთგული ყოფილ ხარ ჩემი, თერეზავ; გმადლობ. შენ ჩქარა მიიღებ ჩემგან დამტკიცებას, რომ შენი ერთგულება და სიკეთე დამიფასხება ღირსეულად... მშვიდობით, თერეზავ მშვიდობით...

—ოო, მეც თქვენ გამოგყვებით, ქალბატონო. —არა, შენ აქდგან წადი, მე გიბრძანებ... ჯერ მაკოცე. თერეზა მოეხვია თავის ქალბატონსა და მერმე ცრემლიანი გაბრუნდა.—ხედამ, ჩემო მეგობარო, თვით ზეცა აჩქარებს ჩემს განზრახვასა. იქნება მმართებლობამ გაიგო, რომ მეც მონაწილე ვიყავი ბოფორისა და კონდის შეთქმაში. მე არა მაქვს სურვილი მთელი სიცოცხლე ბასტილიაში გავატარო... მამეცი ჩქარა საწამლავი, ექიმო: მე მივეცი პატარა შუშა; სულ ერთათ დალია იმან.—ახლა შენც... შენც გამომესალმე, მამეხვიე ეგრე; დიდად დამავალე, ექიმო; ძალიან მადლობელი ვარ... ოო, მე ვჰგრძნობ უკვე ამ წამლის მოქმედებას... უფალო. ნუ დამსჯი მე მეორეს ქვეყანაში ამ ქვეყნის დატკბობისათვის... თვალთ მიბნელდება; გული მიყინდება... ექიმო... ეს არის სიკვდილი? მომიტევე, უფალო... მომიტევე...

მუხლები ეკაკვებოდა მე ავწიე და გადვიტანე ქვეშაგებში, რომელიც კრავატზედ ოთახის კუთხეში ეშალა.—იშვიათად იმისი ტუჩები ისევ ცმაცუნებდნენ, მაგრამ ხმას კი ველარ იღებდა. ნელნელა დაეხუჭა იმას თვალები, და სახეზედ დაეცო მკვდრის ფერი.

ხუთის მინუტის შემდეგ, რა გადაექოთებინათ მთელი სახლი, შემოვარდნენ —აი აქ არის; დაიყვირეს იმათ აქ მოდით...

მე დაყოვნებით მიუბრუნდი სალდათებს და უთხარ ეს ქალი მოკვდა, ისინი შიშით უკან შეჰკდგნენ. გაყვითლებული სახე მარიონისა ამტკიცებდა სიმართლეს ჩემის სიტყვებისას. სალდათების უფროსი წინ წამოდგა, რომ დარწმუნებულ იყო იმ ქალის სიკვდილზედ. შემდეგ გაბრუნდა ის თავის სალდათებით, ამ ამბავის მისატანად დედოფალთან და მაზარინთან.—

მეორეს დღეს წმინდა პავლეს ეკლესიაში გარდუხადეს განსვენებულს მდიდრული რიგი?

რადგანაც ქორწილი მარიონ დელორმისა არ იყო გამოცხადებული კანონიერად, ამისათვის კუბოზედ ედვა მას ქალწულების გვირგვინი. რა კი ანდრია ლეგლემა დაინახა, შეჰყვირა: «აი მეცხრე სასწაულება!»

მარიონის მსახურები ტირილით იკლებდნენ ეკლესიას. ვისთვისაც კი სიკეთე რამ ექნა მარიონსა, ყველ საყდარში იყვნენ და დასტიროდნენ. მრავალნი სასახლიდგანაც მოსულიყვნენ იმის პატივის საცემლად; ეკლესია სავსე იყო განსვენებულის ნაცნობებით და მეგობრებით.

ნინონაც თავისის კარეტით მიჰსდევდა კუბოსა. მე იმას გვერდით უჯექი, რა ვხედავდი, რომ ის ცრემლში იღვრებოდა, მე ძალას ვატანდი ჩემს თავს, რომ არ გამცინებოდა . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

მარიონიკი სრულებით მკვდარი არ იყო.

იმის დამარხვის შემდეგ მე ვჰპოვე ის ჩემს კაბინეტში სრულებით კარგა მყოფი.

ჩემს პატარა შუშაში საწამლავის მაგიერათ ძილის წამალი იყო გაკეთებული, რომლისაგანაც მარიონი იმყოფებოდა თორმეტს საათს ძილქუშში. ამ დროების განმავლობაში მე მქონდა ყოველი ღონის ძიება რაც მინდოდა განკარგულება მომეხდინა. მე მყავანდა [illegible]ვილი კარგი პატენი, რომელიც ექიმობას ჰსწავლობდა. ბედნიერის შემთხვევების გამო იმ ღამეს ლაზარეთიდგან გამოვატანინე მკვდარი დედაკაცი, მინდოდა, რომ გამოსაცდელად ჩემის შვილისა ამეჭრევინებინა. რაკი მარიონს ძილის წამალი მივეცი, ის მკვდარი დედაკაცი აღარ გავაჭრევინე; დავკეტე ყუთში და უბრძანე ორს მუშას ამ ყუთის გადატანა სენმარსის სახლში, რომლის გასაღებიც მე ადრევე ჩავიგდე ჯიბეში. მე მოთმინებით ველოდი დაღამებას.—სახლში არავინ იცოდა ჩემი განზრახულება- მე მინდოდა მარტო მე მცოდნოდა ჩემი საიდუმლო.

დაბნელდა, მე მარიონის მოსამსახურები გავისტუმრე სახლიდგან. ისინი ბრმად მემორჩილებოდნენ მე, რადგანაც იცოდნენ, რომ ვიყავ იმისი ანდერძის აღმასრულებელი. ერთი კუბოს გამკეთებელთან გავგზავნე, მეორე ეკლესიის მოსამზადებლად, მესამე ზარაფთან, ამ გვარად დავრჩი სრულებით მარტო მე.

მაშინ მე ავიყვანე მარიონი, რომელიც ისევ უგრძნობელი იყო, ავიტანე ბაღში; იქიდგანაც საიდუმლოს გასავალში დავასვენე. ახლა

ხუთის მინუტის შემდეგ ამავე გზით გადმოვიტანე ლაზარეთის მკვდარი დედაკაცი ხენმარსის სახლიდგან და დავასვენე მარიონის კრავატზე, რასაკვირველია კარგათ გავახვიე სუდარაში, რომ პირი არავის გარდაეხადა და არ ეცნოთ,—

ესენი სულ მოჩვენილი მქონდა, როცა დაბრუნდნენ მოსამსახურები. ჭუმა დავალურხმინე; გარეშემო დაუნთეს დიდრონი სამთლები, რომლებიც გათენებამდის ენთო.

ღამის მკითხავით გადავიტანე მარიონი ჩემს სახლში და მაშინვე მოვიყვანე გრძნობაზედ. საწყალი! უბება დამქლალა, ვიდრე დავაჯერებდი, რომ სიცოცხლე ჯობია სიკვდილს.—ეხლა შეეძლო იმას [illegible]ლებით სხვა დედაკაცი გახდარ იყო.—განა არ შეეძლო იმას ბედი მოენახა სხვა სახელმწიფოში? მე შევფიცე, რომ ამ საიდუმლოს ღრმად დავიცავ, ამასთანავე მეც თვითონ გამოვივლიდი ბევრს უსიამოვნებას, თუ რომ გამოცხადებულ იყო ეს საიდუმლო.

—გეფიცები პატიოსნებასა! უთხარ მე: ჯერ ოცდა ათი წლისადი კიდევ შეგვიძლიან ვიცოცხლოთ ამ ქვეყნად. რა მიგვაშურებს ჯოჯოხეთში? არა ჯობს, ჯერ ცოდო მოინანიო და მადლი დათესო?

მარიონმა მომცა სიტყვა ეცოცხლნა, და ჩემის სახლის ფანჯრებიდგან უყურებდა ის თავის დამარხვასა

მარიონმა განიზრახა ლონდონში წასვლა.

მე გამოვართვი ზარაფს იმისი ფული. იქიდგან ორი ათასი თუმანი მარიონმა მომცა გრასენის და თერეზასათვის, და მეორეს დღესვე ის გზაზედ იყო ანგლიისაკენ, მე დავპირდი წიგნების მიწერას მინისტრის ბედფორდის სახელობაზედ, რომელიც უნდა მიეღო მას ლონდონში. მაგრამ სვა და სხვა გარემოებამ დაგვიმალა ჩვენ ერთმანეთში ხშირი მიწერ მოწერა. ოცის წლის განმავლობაში მე მივიღე იმისაგან მხოლოდ სამი წიგნი, რომელნიაც ისტორიის შესამსგებლად, აქ წარმოგიდგენთ.—

## წერილი პირველი

ლონდონი, **14** თებერვლისა **1649** წელსა,

ახ, ჩემო კეთილო ექიმო! რა საშინელება არის აქა! ანგლიჩანებმა მოკლეს თავიანთი ხელმწიფე! ხუთი დღეა, რაც კარლი სტუარტი ეშაფოტზედ მოკლეს!... ღმეთმა ქმნას, რომ ჩვენმა მამულის შვილებმაც არ მიასწიონ ამ გვარს საქმემდის.—იმ კაცს, რომელსაც ემორჩილება ეხლა მთელი ლონდონი, და რომელმაც მოკლა მეფე, ეწოდება სახელად ოლივიე კრომველი. ოდესმე ჩვენ ამისი მცნობნი ვიყავით ლონდონში; ეს მეკურკურებოდა, ჩვენ მასხარათ ვიგდებდით იმასა თუ გახსოვს, ერთხელ შენ გააგდე ეს ჩემის სახლიდგან, დამუქრებით, რომ თუ არ გასვალ, ციებას მოგისევო.—ოჰ, ღმერთო ჩემო! რა მეშველება ამან რომ მიცნას?—ამ ფიქრზედ შიშით გული მელევა და მსურს რაც კი შესაძლებელია, ჩქარა გამოვეცალო ლონდონსა.

გმადლობ, ექიმო, ჩემის სიცოცხლის შენახვისათჳს: შენ მართალი ხარ: მე ეხლა სრულებით სხვა დედაკაცი ვარ. მარიონ დელორმი მოკვდა; ეგ უკეთესი! მე მსურს დავივიწყო ეს შეძლების კვალად.—დანაშთენს ჩემს სიცოცხლეს—შევჰსწირამ უბედურების ხვედრის შესამსუბუქებლად. მე გავყიდე ჩემი ბრილიანტეულობა და მივიღე ამაში რვა ათას ოთხასი თუმანი, რომელიც შევუმატე ჩემს ფულებსა. აქედგანა ჰხედამთ, ჩემო მეგობარო, რომ ჯერ მე საკმაოდ მდიდარი ვარ ისევ და შემიძლიან მოწყალების გაცემა.—

შენ მწერ, რომ გერცოღ ბოფორისათჳს მამულები დაუბრუნებიათ და იმასაც მიუცია ჩემი ფული ჩემის დისწულისათჳს. მე ძალიან მიამა ეგა. ჰსჩანს სვინიდისი კიდევა ჰქონია მაგ კაცსა.—

მე ვჰფიქრობ ანგლიიდგან გავიდე მარტში, და მგონია პირველი ჩემი წიგნი მოგივათ გერმანიიდგან, სადაცა მაქვს წასვლის განზრახულება.

მსურს შენთვის ბევრი ბედნიერება, სიხარული და სიმრთელე!

მისტრის ბედფორტი.—

## წერილი მეორე

ვეზული 3 ნოემბრის: 1665 წელსა.

«კიდევ ცოცხალი ხარ, ჩემო საყვარელო ექიმო?.. მაინც კი გიგზავნი ამ წერილსა... არ შეიძლება, რომ შენ ეგრეთი მხიარული, ეგრეთი მრთელი, ეგრეთი კარგი ექიმი, გარდასახლებული იყო მკვდრების სამეფოში. —რასაკვირველია შენ გამამტყუნებდი მე უმადურებაში. —ანუ იქნება შენ იფიქრე, რომ ეხლაკი ხუმრობით აღარ მომკვდარვარ. —ოჰ! მე ვცოცხლობდი, და ვცოცხლობდი თვით საუბედუროს და სატირლოს მდგომარეობაში!

ჩემმა მცნობმა საძაგელმა კრომველმა დამიბარა მე თავისთან რამდენისამე დღის შემდეგ მეფის სიკვდილისა, იმისმა პოლიციამ გაიგო, რომ მე ანგლიჩანკა არა ვარ. კრომველი არ ენდობოდა სხვის მხრის ხალხსა და თვითონ გამოჰკითხამდა ხოლმე ყველას. იმან მიცნა მე, ექიმო, ოცდა ორის წლის შემდეგ, და ჰქონდა იმდენი ხიმდაბლე, რომ ჩემი ჯვარი ამოიყარა.

პირველად იმან გადაწყვიტა, რომ შემიპყრან უნამუსოების სახლში; შემდეგ კიდევ დამიბარა იმან და მიბრძანა მივთხოვდე იმის მხეცს ამხანაგსა, კაპიტანს ჯონ მურვტალდსა, ერთს გაუთლელს ეშვიან სალდათსა, რომელთანაც გავატარე ათი საშინელი წელიწადი ჩემის სიცოცხლისა. მე იძულებული ვიყავ ყველგან გავჰყოლოდიყავ ჩემს საზიზღარს ქმარსა, თითქმის ჯარშიაც. ის ადუშვებდა ჩემს ქანებას მდაბალს გარყვნილებაში. ახ, ექიმო! თუ რომ მე ვჩიოდი ანუ ვაყვედრებდი ამას, ის მცემდა უწყალოდ. არ ვიცი, როგორ შემრჩა ამდენი მოთმინება, რომ მეორეთაც არა ვცადე თავის მოკვლა. ერთხელ მე ვწერდი შენთან წიგნსა, ჩემა ქმარმა წამართო და ამისათვის ექვსი თვე მტანჯა ცემითა და ლანძღვითა. იმ დროიდგან ფიქრათაც აღარ მომდიოდა კელში კალამი ამეღო.—

ღმერთმა გადმოხედა ანგლიასა და მეფის შვილი კარლი არა მაყურებელი თავის თეთრის წვერისა, ის გვალად ჩამივარდა ფეხქვეშ და მევედრებოდა იმისი ცოლი გავმხდარიყავ. ეს ძალიან სასაცილო მეგონა: მე ხომ სამოცდა ხუთის წლისა ვარ! მაგრამ უნდა დავმორჩილებოდი იმის აღგზნებულს სურვილს. მშვიდობით ჩემო მოგზაურო-

ზავ პარიჟში, იქნება ცოდოც არის მიღება სიმდიდრისა, ამ გვარად შემინებულის... მაგრამ, რა ვქნა, ქქიმო? ბედი მიგვიტაცებს ჩვენ.

ჩემა ახალმა ქმარმა იყიდა დიდი მამულები იტალიაში და ჩვენ უცხოთა ვჰსცხოვრებსა. როგორც შეჰფერის ნამდვილს მდიდარ—მე-ბატონეებსა.—

გარწმუნებ, ქქიმო, მე გავუმაწვილდი!.. ხანდახან სარკეში ვიყურები ხოლმე: ჩემს თვალებში ისევ დარჩენილა ელვარება, თუმცა ზოგი ერთგან მომპრუწია»—ძველი ავაზაკი დნებოდა ჩემის სიყვარულით; უნდა მენახა!.. ახ, ქქიმო! რას ნიშნავს წარმოდგენა!.. ამას ჭყვარებია ჩემში მხოლოდ მოგონება!.., საწყალი უნტერვალდი? ცამ მეტად ჩქარა წამართო მე ეს... სამის წლის ქორწინების შემდეგ, მე გამო-მეცალა გელიდგან.

ეხლა იტყვი, ქქიმო: «რა საკვირველია, ეხლა მაინც გაათავე ანგარ-იში. სიყვარულთანაო?»—აბა მანდა სარ ჭწორეთ შემცთარი: ჩემო საყვარე ლო ქქიმო, ჩემი შემდეგი წერილი მოგიტანს ახალს ამბავს. ეხლანდელს წიგნს გიგზავნი ვეზულიდგან, სადაც ჩემის ქმრის სიკვ-დილის შემდეგ გადმოვსახლდი. აქ მე შევხდი ძველს პატივცემულს პროკურორსა, სახელად ლებრენსა, რომელსაც ოდესმე მივეცი მასხა-რობით სიტყვა იმაზედ გათხოვებისა, როცა სამოცის წლის გავხდები მეთქი; ახლა ეხა მთხოვს ავასრულო ჩემი სიტყვა?

მგონია რამდენსამე კვირაზედ მოვიდე პარიჟში ახალის ქმრით და იქნება გავბედო მივეხწიო ჩემს ძველ მეგობრებსა, ნურას ეტყვი იმათ ჩემის მოსვლისას.., ადრევე ვჰსტკბები იმათის გაოცებით. ჩქა-რას ნახვამდინ ქქიმო!

ქვრივი უნტერვალდისა.—»

წერილი მესამე

ურ. 9 მარიამობისას 1668 წელსა.

ოჰ! ჩემო კეთილო მეგობარო! რა საოცარი ბედისა ვარ? რამდენ-ნაირი შემთხვევაა ჩემს სიცოცხლეში! რა ერეულობაა სიხარულისა და მწუხარებისა, უგუნურებისა და სიმწარისა, ბედისა და უბედურებისა? ამ ორის წლის წინად შენ მელოდი.. მე მივიღე შენი წიგნი უშე-

დრებით ხამე. მაგრამ მე ვანგარიშობდი მოვსულიყავი ჩემი ქმრით პროკურორით, რომელმაც მომაყენა საშინელი მწუხარება. ეს კაცი გაგიჟებულია დავიდარაბისთვის, და როგორც სოკო, ისე ამოჰსდის ფეხქვეშ ტყვილი დავა—ეს ამისი მაცოცხლებელი სისხლია; ამას არ შეუძლიან სიცოცხლე უდავიდარაბოთ. ჰსჭამს და ჰსძინამს ამას დერ-ბოვის ქაღალდით. აი, თხუთმეტი ათასი თუმანი კიდეც შემიყლა-ნგა ამან თავის სულელურ დავი დარაბებში. ყველა სოვეტნიკი საქა-ურს სუდებში დამდიდრდნენ ჩემს ანგარიშზედ.—მე მინდა დასასრულ ბოლო მოუღო ამ უწესობას, და რადგანაც ჩემს მეუღლეს ესრე გაგიჟებით უყვარს დავა. მეც უპირებ დაუწყო ამას დავა, ჩვენ ცოლქრ-მობის გაყრაზედ; ამ დავის გათავების შემდეგ. შენ უეჭველად გნახამ, ჩემო კეთილო ქმრო! კიდევ გმადლობ ჩემის საიდუმლოს დაცვისათვის! რასხვით გავამტერებ ჩემს მცნობებს! შენა მწერ, რომ ნინონა ისევ ლამაზიაო. კმარა, განა ეგ შესაძლებელია? ეგ ხომ სამოცდა ორის წლის არის, ჩემო საყვარელო! მე მაგაზედ უფროსი ვიყავ მხოლოდ ექვსის წლით... თუ რომ ჰნახამ, რომ მაგას კიდევ ჰყავს საყვარლები, იცოდე. რომ ქვეყანაში გამოვაშკარავებ მაგის ქალოვნებასა?

მე ტუტუცობას გწერ, მაგრამ გპირდები აღარ ჩავიდინო კია ტუ-ტუცობა. ეხლა მე სრულებით დავბერდი; ისე მოვუძლურდი, რომ სულ ჯდოთა ვარ და ვსაჭიროებ შენს შველაში. ახალის მწუხარებამ უფრო დამასხლოვა უბედურებას და ამაში ვხედავ განგების მარჯვენას. ჩემი პირველი სიმდიდრე იყო ნაყოფი ჩემის გარყვნილებისა, და გარყვნილ-ებაშივე დამიხარჯე; მეორე სიმდიდრე შემხვდა ცარცვისაგან; ესეც ჩემი ქმრის დავა დარაბამ ჩაღუპა. ამეებში ვხედავ მე ღვთის სამა-რთალს, და მეშინია.—

მომინახე პარიჟში მიყრუებული კუთხე, სადაც შევძლო გავატა-რო უკანასკნელნი დღენი ჩემის სიცოცხლისა ლოცვასა და მეგობრე-ბის შორის. ეხლა მაინც დროა ვიფიქროთ სულისათვის, ქმრო; ჩქარას ნახვამდის, მაგრამ ეხლავე მოვალ უეჭველად.

მარია ლებრენისა.

ბოროტს ბედს ისე მოენდომებინა, რომ ამ წიგნის მოსვლის დროს მე პარიჟში არ ვიყავი. ჩემი შვილი რაღაც უსიამოვნების გამო პარიჟის უნივერსიტეტში, გარდავიყვანე დასასრულებლად ქიმობის

ბერლინში (პრუსიაში)სადაც მეგულებოდნენ მეგობრები. მეც დავრჩი იქა რვა თვე.

როცა იქიდგან დავბრუნდი, მაშინ წავიკითხე მესამე წერილი მარი-ონისა. ეს თითქმის ერთის წლის წიგნი იყო. შინაურებმა მითხრეს-რომ ვიღაც მოხუცებული დედაკაცი პირველად ხშირად მოდიოდა შესატყობრად დაბრუნებულ ხარ თუ არაო,—მერმე კი სრულებით აღარ მოსულაო.

მარიონსა დაეტოვებინა ჩემთან თავის ადრესი.

მე საჩქაროთ გავეშურე იქ, სადაც ადრესით მეგულებოდა მარიონი, და ვიკითხე ლეპრენის ცოლი:

—აა; მითხრა სახლის პატრონმა დედაკაცმა: შენ უთუოთ იმ გუდიანს ბებერსა კითხულობ, რომელსაც ესლაცა მართებს ექვსის თვის ქირა სახლისა და საჭმელ სასმელისა... ის ქურდი, ის ტყუილი დავი დარაბის ამტეხი;—

—შენ მე მაკვირვებ, უთხარ მე სახლის პატრონსა: მე ვიცი, რომ იმას კარგი შეძლება ჰქონდა.

—დაჩუმდი; შენც უთუოთ იმასა ჰგვეხარ... ხომ არ გინდა დაგვა-ჯერო, რომ რასაც ის გუდიანი ბებერი გვეუბნებოდა, სულ მართა-ლი იყო!...

—რას გეუბნებოდათ?

—ის გვარწმუნებდა, რომ ექვსი ათასი თუმნის ოქრო თან მოი-ტანა იმან ჩამადლითა... ის ურცხვი, კიდევაც გვაბრალებდა, რომ თქვენ მომპარეთო, ჩვენ, ნამუსის გლახებმა?... მე პრისტავთან წავიყვანე, და ვთხოვე, რომ ჩვენი სახლი გადმოაბრუნონ... პოლიცია ჩვენ კარგათ გვიცნობს... იმასაც კი კარგათ დაზნეს თავი... პრის-ტავმა უთხრა, მანამდისინ სხვას გაამტყუვნებო, გყავს ვინმე პარიჟში ნაცნობიო რომ თავდებათ დაგიდგნენ შენაო.—იმ გუდიანმა უპასუ-ხა, რომ როგორ არაო, მე კარგათ ვიცნობ ექიმს გუიპატენსაო.—

—ის ექიმი მე ვარ. უთხარ მე ურნეურად.

—აჰა!.. დაბრუნებულხართ მოგზაურობიდგან!.. მადლობა ღმერ-თსა ერთის ტყუილით ნაკლებია... მაგრამ რამდენი მოტყუება და სიცრუე იყო აქა!. რადგანაც თქვენ აქ არა ბრძანდებოდით, იმან კი-დევ უთხრა პრისტავსა, რომ ვიღაც სორლენს ვიცნობო.—იმის საუბედუროთ, ის კაცი აქვე ახლოს იდგა... გაგზავნეს და ახლა ეს

მოაყვანინეს, დაუყენეს პირში იმ კუდიანსა.. ახლა კიდევ გამოცვალა სიტყვა და თქვა, რომ მე მარიონ დელორმი მქვიანო. ბებერი სოროლენი პირდაღებული შესცქეროდა იმას, და პირჯვარი დაიწერა.—» ეგ ეშმაკი თუ არისო, ჰსთქვა სოროლენმა, თორემ მარიონივი არაო!. არა, არ ვიცნობ მე მაგასაო!,,—და ისიც ჩლასხუნით წავიდა; რაღაც ქარები გაჰჩენია ფეხებში, მგელის ცოდვებისაგან... პროსტავს უნდოდა ის ბებერი ლებრენი ჩაესო ციხეში, მაგრამ ამდენი იოხრა, ამდენი იცინგლა, რომ პროსტავმა კიდევ გაგზავნა სხვა ამის მცნობთან, ავიღაც ნინონასთან, რომელიც ეგრეთვე ცხრა თუ ათი თვე იყო წასული იყო იტალიაში.—ის კუდიანი სულ იმათზედ უჩვენებდა განვებ, ვინც პარიჟში აღარ იყვნენ.. მაგრამ საწყალს, ბედი არა ჰქონდა... ის ვიღაც ნინონა იყო, მოსული იყო იტალიიდგან და მაშინვე მოვიდა. ეს კუდიანი ლებრენი ახლა იმას მოეხვია კისერზედ და ეუბნება: «საყვარელო მეგობარო! ჩემო ნინონავ! მე მარიონ დელორმი ვარ!... მომეხვიე!—»მაგრამ ნინონამ ჰკრა იმას და უთხრა «რას გადარეულხარ, შე ქოფაკო! საიდგანხარ შენ მარიონი?.. ის ხომ ოცი წელიწადიც არის, რაც მოკვდა! ჩემის ხელით დამიყრია მიწა იმის საფლავზედაო!მაგისთანა ტყული აქ არ გავაო, შენ გაგიჟდი, ჩემო საყვარელოვო!,.. ნინონამ გაიხარხარა და ისიც გაეცალა.»

როგორც მეხ დაკრული ისე უსმენდი ამ ლაპარაკსა.

ბოლოს ვჰკითხე ამ დედაკაცსა.

—მაინც ბოლოს რა იქნა ის მარიონი, პროსტავმა რა უყო იმას?

დედაკაცმა პირჯვარი დაიწერა, და მითხრა:

—მერმე იმ კუდიანმა სიგიჟეზედ დაჰსდო თავი: დაიწყო ყვირილი, წივილი, ჰსტომა, თამაშობა, ხარხარი, ტირილი.., ფანჯრიდგან აპირებდა გადახტომას. მერმე ყვიროდა: «მართალია, ოცი წელიწადია, რაც მოვჰკვდიო, მე ჩემი დამარხვა ვნახეო, მე მახსოვს კარგათაო!, ასე მოჰყვა გადარეულს ლაპარაკსა.»

—ბოლო მითხარ ბოლო! რა იქნა ის საცოდავი?

—გიჟების სახლში წაიყვანეს!

—ოჰ, ღმერთო!

—მაშ რას უზამდნენ გიჟსა! ეტყობოდა, რომ ადრეც გიჟი ყოფილა.—ნეტავი ჩემი სახლის ქირა მოეცა, ჯანი გავარდნიყო...

მე მაშინვე გავიქეცი, რაც მუხლებში ღონე მქონდა, გიჟების სახ-

ჯისაკენ. მე უკვე მოვემზადე მენახა საცოდავი, მაგრამ რაც ქს უფრო აღემატებოდა ჩემს ლოდინსა.

დიდი ეზო მოფენილი იყო საცოდავების გიჟებითა. სტოროჟმა დამანახვა ის, ვინც აქ მიიღეს ბებერი ლებრენის სახელობით. მე მივახლოვდი იმ უბედურს, მჯდომარეს სველ დედა მიწაზედ. ჭაღარა ამენძილი თმა ჩამოჰკიდებოდა გძელს მოწი...ანო ხალათზედ, რომელიც არის გიჟების საცმელი. ამ საწყლის სახეზედ არ შეიძლებოდა გეცნო ერთი რამ ასო იმ დედაკაცისა, რომელიც მე მენახა ოდესმე ქსრე-თი გაბრწყინვალებული და ლამაზი.

რა მე დამინახა, იმან შეჰყვირა ხრინწიანის ხმითა:

— დაიკარგე აქედგან!.. რა გინდა ჩემგან? . მე მკვდარი ვარ!

— მარიონ! უთხარი მე, ჩემო საცოდავო მარიონ, განა ვეღარა მცნობ მე? უეცრად ის წამოხტა და იწყო თავის გარეშემო ტრიალი სიმღერით.

ოცი წელია, რაც დავიმარხე,
ამ ჩემის თვალით მე თითონ ვნახე.
მაგრამ ეს უფრო საკვირველია,
მე ბერი მყვანდა საყვარელია.

— მარიონ, მე გუი პატენი ვარ, გახსოვს?... ექიმი გუი პატენი. — მე წავავლე მას ხელში და დავაყენე ჩემს წინ უძრავად. იმისი მღვრიევე, მინის თვალები არ წარმოადგენდა არა ვითარსა ნიშანსა ადამიანის აზრისას; თითქოს იმის თვალებს ჭვრეტა არა ჰქონდა-იმან გაიხარხარა და განაგრძელა სიმღერა.

ოცი წელია რაც დავიმარხე. —
ამ ჩემის თვალით მე თითონ ვნახე. —

— ეი, შენ! დაანებე თავი განსვენებულსა! შეჰყვირა უეცრად მეორე ბებერმა გიჟმა, რა ჩამომწია სერთუკის კალთა.

— ეგ განსვენებული ჩემი კარგი მეგობარია!... ჩემი?.. ეი, შენ, განსვენებულო! მართალს არ ვამბობ?... შენ არ მომიტანე იმ ქვეყნიდგან მამიჩემის ამბავი? ხა! ხა! ხა! მე, მე გენრიხის მეოთხის ქალი არა ვარ.... მოდი ვიტანციოთ, განსვენებულო!.. მოდი!

ისინი კვალად დატრიალდნენ სიმღერით.

მაგრამ იმათ დაინახეს მოხუცი კაცი, ქვაზედ ჩამომჯდარი, ისეთივე გიჟი, როგორც თვითონ, მიიჭრნენ იმასთან და მარიონმა

რა წაავლო მხარში, დაუყვირა;

—ჰსთქვი, რომ მე მკვდარი ვარ!

—ჰო, შენ მკვდარი ხარ, უპასუხა მოხუცმა

ახლა მეორე გიჟმა წაავლო მეორე მხარში

—ეი, შენ! ჰსთქვი, რომ მე გენრიხის ქალი ვარ!

—ჰო, შენ გენრიხის ქალი ხარ!

მერმე ეს გაცი წამოხდგა, დაუჭირა ხელები იმ ორივე ბებერ დედაკაცებსა და შეჰყვირა საზარლის ხმითა:

—ახლა თქვენ ღქვით: არ არის ღმერთი!

—არ არის ღმერთი, არ არის ღმერთი. შეჰყვირეს გიჟებმა და იწყეს იმათ გიჟურათ ტრიალი?

კანკალმა ამიტანა მე.

მე გამოვეცალე იმათ. მე მეგონა, რომ რკინის რკალი მიჭირებს შუბლზედ, რომ მე თვითონ უნდა გავგიჟდე.—

მაგრამ მე ისევ გავიმაგრე გული და მოვითხოვე სია გიჟებისა, დასარწმუნებლად ეჭვისა, რომელმაც გუნებაში გამიარა.

ოჰ; თუ მე დღევანდლამდინ ეჭვი მქონდა ღუთის სამართალზედ, ეხლაკი მჯეროდა იმისი მარჯვენის სიმართლე, რომელსაც შემოკრიბა გიჟების სახლის კედლებთა შორის: მარიონი, ლიზა და დებარო!—

დასასრული.

# მწყემსი

(ვმღვნი სოფიო ბეზირგანოვისას).

შენა ხარ მწყემსო მეფე კეთილი და ბედნიერი,
ეს მწვანე მდელო შენი ტახტია დიდ მშვენიერი;
შენს დიდს სასახლეს ეს მოკამკამო ცისა კამარა,
ჭერად მსახურებს,—გადმოგიკმევს ზეფირსა წუნარა.
ეს მზე უებრო, მოჭედილი ჴვავს თვლებს უთვალავს
და ვით გვირგვინი ფასუგები შენსა თავს ჴფარავს!....
მეფის საფარველს ქვეშე დაწვნენ ურიცხვნი ცხვარნი,
ცხვარნი, ერთგულნი ქვეშევრდომნი კეთილ დღით მტკბარნი
სხოანი უვლიან გარს ბღავილით, მომწვანო ღელეს,
მედიდურობით ფარემობენ ბედნიერს მეფეს.
თხანი დასტიან, ნავარდობენ, ერთმამ ცელქობენ,
ვით აკტორები სასახლისა მას შეაქცევენ.
ფრინველთ ჭიკჭიკნი შეადგენენ სასახლის ხორას,
სამო გალობას გადასცემენ ახლოს მყოფს გორას,
წყაროს ჩქრიალი, ფოთოლთ შრიალი, გამოსცემს ზილსა,
ეს ჩვენი მეფეც მიეცემა მეტად ტკბილ ძილსა.
და ამ ძილშია დასტკვა ტვირთი მეფური, ნორჩმა,
ახლა ეს ტვირთი კისრად იღო ერთგულმა ყოჩმა.
ამ ტკბილ ძილშიაც არ ასვენებს რაღაც მსჯელობა,
ანბობს: ძნელია მეტის მეტად სალხზედ მეფობა.
ოჰ, რა კარგია შესვენება ჩემ ქოხში,—ძირსა;
ჩემს დედოფალთან, ის ჯობია მეფობის ტვირთსა;
თავსა დავაყუდრობ მსურვალებით მის თეთრსა გულსა
და ერთგულებით მას შევწირამ მე ჩემსა სულსა;
მის შავ თვალთ ცქერას, მის ღიმილს და უზვრუნველობას,
რა შეედრება, ესა სჯობია მეფეთ კელობას!..,

ი. ქარესელიძე

### დედა შვილს.

დღეს შემისრულდი სწორეთ რვის წლისა,
ხვალ გგზავნი შვილო სასწავლებელში,
გევედრები რომ რჩევა მშობლისა
ღრმათ ჩაინერგო პატარა გულში.
უყვედურს ძუძუს უზრუნველად საზრდოს
შენ რომ აქამდის შეექცეოდი
და მშობლის ალერსს ტკბილს საიმედოს
ყურს არ უგდებდი სტოდი, მირბოდი.
დამდაბლებას და რისხვას ან ძრახვას
ვითა წუთისოფელს შენ ხომ ვერ იცნობ;
გულის დამღრღნელსა ტანჯვას და ჭმუნვას
ვისთან და რისგან? საიდგანა ჰსცნობ?
მაგრამ ხვალ შვილო ჩუენ სახლის კარებს
რა გაჰსცილდები ნახამ ცვლილებას;
ჯერ გულ ამოჰსკვნით ჩამოჰყრი ცრემლებს
ჯავრათ ჩაიგდებ ჩუენს განშორებას
და მერმე ყოველს ზემო თქმულს საგანს
მალე გამოჰსცდი, მაგრამ ნუ ჰკრთები,
ქართველო ქართველთ დაჩაგვრას უგვანს
შენ თანდათან ჰსცნობ რომ აღიზრდები.
გმართებს სიმშვიდე, განსჯა. მოთმენა,
მატყუარს ცრუ მოძღვრებს ნუ ერწმუნები,
როცა გაიცნობ ქუეყანას შენა
მოძმეთ ნაღველსა წინ შეეყრები
მაშინ მოგიცვავს შენ ღრმა ფიქრები,
დაგეწვის გული, გიწყებს ძგერასა,
იმდროს რას გირჩევ რას გეხვეწები:
ნათლათ დაადექ ჭეშმარიტს გზასა

## ლექსები

მაგ შენ ძარღვებში წმინდა სისხლი დუღს,
წმინდა მამულიდგან ხარ მცენარე,
მას თავს შეჰსწირავ გაჭირების დღეს
მაგრამ შეწყვდეულთ ტყვეთ მოესმარე.
ერთს სიტყვას გეტყვი მე შენ დაფარულს,
ჩვენზედ შორს არის სახელით ვიცნობთ,
მაგრამ ვინაა რომ მის სიყვარულს
კაცნი თუ ქალნი გულში არა ვჰგრძნობთ.
სამშობლო უყვარს ყოველს დიდს მსწავლულს,
ზრუნამს დაცემულს თვის ხალხს უშველოს
ოფლით გადასწმენდს სისხლს ჟანგსა მამულს
რომ სხვა და სხვა ფრათ აღაყვავილოს,
შენცა გამოჰსჩნდი შვილად ნათლისა,
ბნელი განსდევნე ქრისტეს სახელით,
წილ-ხვდრილი ხარ შენ ქალწულისა,
იგი დაგიცვავს თვის საფარველით.

კ. ბარბარე ჯორჯაძისა.

# პოეტი და მე.

სევდიანს დღესა გულ მოკლული შეწუხებული,
გამოველ გარეთ განსართველად აღშფოთებული,
უკმაყოფილო ყოვლისფერითა ჩვენის ცხოვრების,
ვეძებდი მოძმეს. ვისთვისაც მსურდა მეცნო მე ჩემის
გულისა დარდი, მწუხარება და აღელვება,
და მას მოეცა ტკბილ მოუბრით გულს მოსვენება.
დიდხანს ვიდექი ბულვარზედა მე თავდახრილი,
მაგრამ ვერარით ვერ განვაქრე გულის წყურვალი.
ბოლოს ვიფიქრე სრულ იმედით, შევჩივლი პოეტს.
უამბობ ჩემს დარდს. უეჭველათაც ის დამამშვიდებს.
შეველ თუ არა ჩვენ პოეტთან: ის იწვა ტახტზედ,
გარდასკდომოდა მას საბანი, ბალიშიც პოლზედ,
თმა გაწეწილი შავთვალ წარბას და გამფერებით
თითქოს ვიღასაც მოელოდა მხურვალე გულით.
რამწამსვე მიცნო გაიღიმა, ცოტაც წამოდგა,
და რომ უჭვრეტდი უნაღვლო კაცს გული მიშფოთდა.
პოეტს დაუწყე ლაპარაკი მითომ სუმრობით,
ბოლოს საწყალი შევაწუხე მოვკალ ყვედრებით.
ასე ვარცხვენდი ჩემს პოეტსა და ამ სიტყვებით:
არა დროს ძილის მეგობარო კმარა მგონია?
ოჰ გამოფხიზლდი და მეიტყვე რაც ამბავია
ქვეყანაზედა, ლექსი ხომ შენ არ დაგიწერია?
კაცო რა არის სახლში ყოფა, ძმავ სირცხვილია?
უთაურობა მითხარ პოეტს განა შეჰშვენის?
ჩემო პოეტო გარწმუნებ რომ რიგი არ არის.
სულ შენ რას. წევხარ, თუ მოგწყინდა ქვეყნის ყურება?
ადექ მეიტყვე ხალხისა რამ აწ ვითარება!
მითხარ შენ ჯდომით საყვარელო რას გაიგებ?

უბრალო ფიქრით საყვარელო ან ვის რას აძლებ?
ნუ გავიწყდება შენ ქვეყანა პოეტს გიწოდებს!
მაშასადამე რად ამცირებ მაგ შენსა სახელს?
იქნებ არ იცი რასა ნიშნავს აწ პოეტობა?
მმაო თქჳენ გამევსთ კაცთ წინაშე მრავალ პირობა.
თქჳენგან მოელის გლასა, შემძლე.პატრონობასა.
რომ მითომ მოსპობთ, ქჳეყნიერ ჭუჭყსა
რად გვინდა შენგან ამ დროშია მმაო რამანსი
ან უსაფუძვლო მიჯნურობის უბრალო ლექსი?
ხომ არ გგონია რომ პოეტო მარტოკა თქჳენა
გქონდეთ ტრფობისა საყვარულის და ქჳეყნის სმენა?
დიდათა სცდები. ყოველს ცხოველს აქვს აღტაცება
როს ხედავს თვალი წინ მშვენივრობას, ჩჳენც გვიამება
როდისაც რომ მზე უცხოს შუქით მოჰფენს სიამეს
და იმ სიამით ქჳეყანას ალხენს და აქცევს!
ჩჳენცა ვნატრულობთ რომ სიბნელეს მთვარე აღმოჩნდეს,
და სინათლითა ნაზის ფერით გულს აფიქრებდეს!
ჩჳენც უჭვრეტთ ხოლმე დილის ცისკარს უცხოს ავრორას
და ვით მიჯნურებს უებრობით გვალხენს გვტანჯავს გვლაძს!
ჩჳენც ვეტრფით ქალსა მშვენიერსა, მისსა ჭიკჭიკსა,
მის შავ თვალ წარბსა, წვრილსა წელსა, და თეთრსა პირსა
ჩჳენცა თქჳენსავით მიჯნურნი ვართ უცხოს ქმნილების,
ყოვლის კეთილის ნაზის, ხესტის, სამო თვალების!
განა არ ვხედავთ ჩჳენცა ქვეყნის ნაკლებულებას,
უსამართლობას, კაცთა შუა წინამღდეგობას?
რომ ერთმანერთსა ჰკიჭამენ, სწეწენ, ხმარობენ ძალას,
და უმანკო მსხვერპ ,ს უღონოსა ართმევენ ლუკმას!
ეს ყოველივე გვაყურებს როგორც რომ თქჳენა,
გონებაცა გჳაქვს. ჩვჳნ. გრძნობაც თქჳენსავით სმენა;
მაგრამ გამოთქმას ვერა ვჰედავთ არა გჳაქვს ენა,
და შენ პოეტო გრძნობით სავსევ აწ რადგანაც,
თვითონ ბუნებამ მოგანიჭა და ენა მოგცა;
გულ განწირული კალმით ხელში უნდა ჩჳენს ხალხსა

თავს დასტრიალდე—ვით ბულბული თავისსა ბარტყსა.
და გვაცნობინო მოვალესარ რაც რომა ჴსდება
ქვეყანაზედა, უმგზავსობა უსამართლობა.
რადგანა ჩუენ თითონ ვერ წარმოვსთქვამთ გულისა დარდსა
და შემოგცქერით უენონი ენიან ხალხსა.
მაშ პოეტებო ნიჭიერნო ტკბილ მოუბარნო,
უნდა მიეტყუოთ ყოვლის სულის გარემოება,
უსაგნოთ ჩუენში ვინ იჩაგრის ვინ იტანჯება
ჩუენ მაგიერად ყველოფერი ლექსიათ სწერეთ
და რაც გვწუხრდეს ჩუენს ნაცვლად ილაპარაკეთ...
რალა იქნება უკეთესი ამაზედ, რომა
თვალ წინ იკითხოს თავის სევდა ყოველმა სულმა!
ჩემო პოეტო საყვარელო ერთია შენსავის,
ვინც უნდა იყვეს ნუ კითხულობ რა გვარის არის.
ყველას უყურე ვით ღვიძლს ძმასა და მეგობარსა,
არ შეუშინდე შენს კალამს დიდ კაცებისა.
ნუ შეიბრალებ ცუდ საქმეში ნურცა ღარიბსა,
ნურც მდიდარსა, ნურც მეფესა, ნურცა თავადსა.
სწერე ცხადათ ვინცა ჰღუპავს უსაგნოთ კაცსა.
და შეარცხვინე შეუპოვრად ვინც ავდენს ავსა.
რაცა გაქვს ძალი იქადაგე ჭეშმარიტება.—
ეს არის პირველი პოეტების ვალდებულება!
შენ ნუ მაჰხედავ იმ მწერლებსა რომელნიც ბლაჯვენ
აწ ქადაგებენ,—და სიკეთეს კი არ მისდევენ.
მრავალნი სწერენ მქადაგელნი უცხოს აზრებსა,
სულ მთლათ გამოჰყვავთ მათ სიბილწე ჩუენის ხალხისა;
მაგრამ პოეტო ნუ გგონია ვინც ქადაგებენ
ჭეშმარიტებას უცოდველები თვითონ კი იყვნენ.
ქართველს მწერალს მას უწოდებთ ვინც სიკეთეს სწერს
უყვარს მას მოძმე და ავს საქმეს თვითონც არ ასდენს.
მით გავათავე და გავჩუმდი მცირეს ხნობითა
მაგრამ პოეტი დავწვი მოვკალ მე ყვედრებითა.
ჩუმად ფიქრობდა რაღაზედაც არ მცემდა ხმასა,

ხან მიყურებდა ხან დარდისგან ისწორდა თმასა.
ჩემი პოეტი გაბუტული განცვიფრებული
ადგა ტახტიდამ, ტანით ჩაიცო და მთლათ მოშლილი
მიშტერებდა დიდხანს თითქო რაღაც მას თქმა უნდოდა.
მიხვდი მკითხველო აწ პოეტი სწყრება რაზედა!
„პოეტო გმირო რას დაღონდი და არა მცემ ხმას!
თუ გწყინს ბასხი ნურა მიიღებ ძმობურსა რჩევას.
ესეც რომ უთხარ ბოლოს კიდევ ცივათ შეჰყურე.
პოეტი იდგა თავ დახრილი და მთლად მწუხარე.
გამოვეთხოვე ამის შემდეგ გულ ჩვილს პოეტსა,
და გავეშურე ჰავსე ნაღვლით კვლავ ჩემს ბინასა....

თ. კანო ბარათელი.

## ისტორია მუზიკისა ძველ ეგვიპტეში, ფინიკიაში, ასსირიაში, სირიაში, ბაბილონში და მიდიაში

აღსრულდა საშინელი უბედურება ქვეყანაზედ; რისხვისაგან შემოქმედისა, ქვეყანა სრულიად წაილეკა წყლითა, ყოველნი მცხოვრებნი დაიღუპა, იმასთანავე დაიღუპა ყოვლი, რაც იყო მოგონილი და გან-სრულებული ხალხთაგან, ერთი მხოლოდ ნოე ნუგეში კაცთა შთამომავლობისა, როგორათაც აღმოსთქვა მოსემ, ჰსთქვა რა მის დაბადებაზედ. იყო დახსნილ საქვეყნო წარღვნისაგანა, თავისის სახლობით. როცა ეს კურთხეული ღვთისაგან სახლობა შევიდა კიდობანში, ნოე, თქმულებისა მებრ საღმრთო წერილისა, იყო ხუთასი წლისა და უნცროსი შვილებთაგანი არა ნაკლები ასისა, არსობდა რა ამდონი წლისადი წინათ წარღვნისა, არა მგონია რომ ამ სახლობამ არ მიითვისა თუთონ სწავლანი და ხელოსნობანი წარღვნის წინათ მცხოვრებელთა? პირველი ოთხმოცდა ოთხი წლიწადი ნოეს სიცოცხლისა, დაასრულა თავისი შემდგომი ასწლოვანი არსება ენოსმა. შვილის შვილმა ადამისამა, ენოსმა დამარხა ადამი და მამა თვისი სითა, იმას როგორათაც უფროსი შთამამავლობაში, შეეძლო გარდაეცა თავისი შემდგომ უმცროს შთამომავლობისათვის ნოესთვის, არათუ ცოდნანი დროთ წინად წარღვნისათა, არამედ კიდეც ესწავლებინა მუზიკის ხელოსნობა, როგორათაც საგანი წმინდა. ამისათვის შეიძლება დაჭეშმარიტებით ვიაზროთ, რომ ნოეს და მის სახლობის გულში არ შესაძლებელ იყო გამქრალიყო მუზიკის ცოდნა და უნდა ყოფილიყო განთქმული ახალსა ნაყოფიერობასა ზედა, ახალთა ხალხთა წარმომდგენილთ სახლობისაგან ნოისა.

აწინდელს დიარბეკირში, ანუ ძველ მესოპოტამიაში, რომელიც აზიის თურქესტანშია ბილიკებზედ შერეაარსკისა ანუ ენაარსკისა დასახლდა სახლობა ნოისა. იმ პატარა კუთხისაგან დედა მიწისა, განიკრიფნენ ყოველს ადგილზედ მის შთამომავლობანი, იმასთანავე სწავლანი და ხელოსნობანი. გავიდა სამოც და ათი წლიწადი შემდგომ წარღვნისა, სახლობა ხამისამ, თვითონ სამიც, და დასახლდნენ ეგვიპტეში და ფინიკიაში

მალე შემდგომ ამ გადასახლებისა, შთამომავალნი სახლობისა ხამისა წავიდნენ აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთისაკენ და დააფუძნეს სახელმწიფონი: ასსირიასა, ბაბილონიისა, ინდოეთისა, კიტაისკიისა და სხვანი. შთამომავალნი იაფეტისა დასახლდნენ ჩვენს ევროპაში.

ამასთანავე მოკლე ისტორიული შეხედულობა გარემოებაზედ მუზიკისა ამ ძველებურ ხალხთა.

ეგვიპტე არის მხარე, რომელმაც მიიღო პირველნი გადასახლებულნი, და ამისათვის ღირსებას ძველებურობისასა არა ძველ მხარეს არ შეუძლიან იჩემებდეს ეგვიპტისაგან: იქ უნდა ჩვენ ვეძიოთ ახალი შვებულება მუზიკის ხელოვნობისა.

ძველი მუზიკა ეგვიპტელებისა შეიძლება განყოფილი იქმნას ორპერიოდათ. პირველმა პერიოდმა მუზიკისა მიაჴწია თავისს საკუთარის ელემენტიდგან საკმაოდ ხარისხსა აღსრულებისასა. მეორე პერიოდი დაიწყება მაშინვე, შემდგომ დაპყრობისა ეგვიპტისა კამბიზისაგან სპარსეთის ხელმწიფისაგან ხუთს ოცდა ხუთასა წელსა ქრისტეს შობამდისინ. ეს პერიოდი გაგრძელდება დაპყრობამდისინ ეგვიპტისა რომაელთაგან. ამ მეორე პერიოდში საკუთარი ელემენტი ეგვიპტის მუზიკისა გაქრა და გადაიცვალა პტოლომეებისაგან ბერძნულს მუზიკაზედ. ხელოვნობა დროთა პტოლომეებთა აჴყვავდა და აღწევდა უდიდეს აღსრულებამდის, ერთნი მხოლოდ გარდაცემანი ძველთ ისტორიკოსებთა, შეუძლიანთ, განამრწყინვალონ რომლისამე ნათლითა განშორებული ეპოხა არსობისა ეგვიპტელებთა, პირველი კალონია მოსული ეგვიპტეში, იყო უფროსობითა ხამისა ანუ ერთისა იმისი შვილებთაგან. რომელიმე მწერალნი შეაერთებენ ნოისა და აზირიისა ერთ პირად; და თუ მივიღოთ ეს ერთობა, არა შევიდეთ ისტორიულ დაწვრილებაში, მაშ შეიძლება დაჭეშმარიტებით წინათ ვიფიქროთ, რომ გერმეს—ტრიმეგისტი იყო სხვა არა ვინ, გარნა თითოს ხამი, შვილი ნოისა ანუ აზირისა, მაგრამ როგორათაც ძველი აღთქმის დროებათა ყველა პატრიახი აღსრულებდნენ უმეტეს მოგზაურობასა, და ნოიმ იცოცხლა შემდგომ წარღვნისა ოთხას ორმოცდა ათი წელიწადი, იქნება ისიც წავიდა იმ ქვეყანაში, სადაც ეგვიპტელებმა აკურთხეს ღუთაებად, როგორათაც მამა თავისთა შთამომავალთ უმფროსი სახელდობით აზარიისა.

მევსთქვი პირველს ჩემს სტატიაში, რომ გერმესტრის მეგამეტ

წმუნებ უმჯობეს ყოველთ ციტათი, რომ გეომეტრია, მხატვრობა და მუზიკამ მიაღწიეს უდიდეს სიჭრელეში, იმ დროს როდესაც ამგვარი არფა არსებდა. არფა ეს მშვენიერის ფორმა სამკუთხიანი აქვს სივრცე 6 ფუტი და ოც და ათ ლარეამდისინ.

დეკოკის თხზულებაში, რომელიც იყო ნაპოლეონის ეგვიპტის არმიაში, ვნახავთ მრავალთა დახატულთა, რომელნიცა არიან გამონგრეულნი ჴელმწიფეების სასაფლავებისაგან და აგრეთვე დონდარისკის ტაძრისაგან, იმაში შევნიშნავთ სხჳა და სხჳა ნაირებ არფებსა და ლირებსა სხჳა და სხჳა ფორმებისა და სხჳა და სხჳა რიცხვთა ლარებთა. კეისარმა ავგუსტმა გადმოიტანა ეგვიპტიდგან აბელისკი, რომელიც დადგმულიყო სეზოსტრისაგან 400 წლის წინ ტრიანსკის ომიანობისა, იმ ბილიკზედ იყო გამოხატული არფა ორის ლარითა და ტარითა, წოდებული ულეკამდი დიკოხდ. ის ორი ლარი აძლევდა რჳა ხმასა. სრულად ჩვენგან მოთვლილი იარაღები ამტკიცებენ რა ნაირად აჭყვავებულიყო ხელოვნება მუზიკისა ძუელს ეგვიპტეში; თავიანთ დიკორდითა ეგვიპტელებს შეეძლოთ განევრცელებინათ თავიანთი შკოლა ანუ ჯამში, ესეიგი რამდენსამე ლარისაგან გამოეყვანათ მცირე სახიერებით მრავალნი ხმანი.

ყველა შესანიშნავი ამბავი და მოგონება სიტყვათა მებრ პრკოლისა, ეგვიპტელები ხატავდნენ კოლონებზედ, ანუ აბილისკებზედ, თუ ეს მართალია, მაშ ამართული სეზოსტრიისაგან ჩერიოლტირს აბილისკი, ნიშნავს თითქმის ნამდვილს დროსა მოგონებისასა დიკორდიისასა.

ეგვიპტეში იყვნენ კიდევ იარაღნი ტიმპან და ტრუბა მოკაკულ რქასავით (ვისითა) ამისათვის რომ ებრაელები, შემდგომ თავის განთავისუფლებისა ტყუეობისაგან ხმარობდნენ იმ იარაღებს.

დასასრულ მოვიხსენიებთ ციტასა, რომელზედაც ძალიან ხშირად ლაპარაკობენ ყველა ისტორიკები; იმის ფორმა სრულებითა სახსენებელი არ არის, ზოგიერთნი ფიქრობენ რომ ის ჰგვანდა ბერძნულს ასოსა დელტას, სხჳანი ამბობენ რომ იმასა ჰქონდა ფორმა პირველი მეოთხედი მთვარისა, ეს მეორე აზრი მომატებულ უეჭველია, ამისათვის რომ ხშირად ხვდება მხატრობაებში ამ გვარად, დედონის დახატულში, იმაზედ უკრავდნენ როგორც სისტრაზედ ჩხირითა ანუ ფრთითა.

ყველანი იარაღნი ამ უძველესის დროსი სარწმუნოებითი მნიშვნე-

ლობა: იმათზედ უკრავდნენ ტაძრებში პატივისცემლად ღმერთებთა და სადღესასწაულო ცერემონიებში აღსრულებაში მუზიკის დაკვრისა განდებულიყო მხოლოდ ერთი მოგვი. სხჳათა ხალხთა ჰსჯული ნებას აძლევდა მხოლოდ მოხმარებისას რამდენიმე მელოდიებისას, ეს მელოდიები გარდაიცემოდნენ შთამამავლობისაგან შთამამავალთა გარდაცემითა. ამისათჳს რომ ეგვიპტელებმა არ იცოდნენ მუზიკის განკარგულება. მაგრამ ამ უმარჯვებლობამ არა დაუშალა რა, კიდეც გამოჩნდნენ ახალნი იარაღები, რომელთა შორის ლირაც, როგორათაც მე მქონდა შემთხვევა ახსნისა, მიაღწიეს უუდიდეს სისრულეში. აგრეთვე შევნიშნეთ რომ საერთო დღესასწაულებში, ოჯახობის ლხინებში ეგვიპტელები ხმარობდნენ ციტრასა, ვით საშინაო სამუდამო იარაღი.

**525** წელსა ქრ. შობამდისინ კამბიზი, მეფე სპარსეთისა, დამღუპველი შემქმნითა გარის ეგვიპტის ქვეყანაში, მან დააქცია ტაძარნი და გაჟლიტა მოგვნი. სულ გაჰქრა სპარსეთის ქარიშხლისაგან, ეგვიპტიური მუზიკა ერთობ ფივსკის არფითა სამუდამოთ თვით გიეროგლიფები ანუ ნაწერნი დავიწყებულნი არიან, ჰსწავლანი და ხელოვნებანი დაკარგულნი არიან.

ეგვიპტე დროთა პტოლომეებთა ცოტ-ცოტად აღიწია თავისს ცარიელობისაგან ფილადელფ და ევერგეტი მფარველობდნენ სწავლათა და ღირსებას აძლევდნენ ქელოვნებათა. მუზიკამ დაიწყო კვლავ აყვავება, მაგრამ ის მუზიკა სხვისა იყო გადმოტანილი საბერძნეთიდგან ფილადელფის დროს. დიდ-მშვენიერობა სახალხო დღესასწაულების სიტყვისა მებრ ატენისა, განაცვიფრებდა ყოველს გრძნობასა. ის აგვიწერს ერთს ფოკსანოლოგიას, რომლისათვისაც ჯგუფებში დაისაჭიროვდნენ უმეტეს 600 კაცთა მემუზიკებთა, იმათ გარდა 300 კაცი უკრავდნენ ციტრებსა. მემკიდრე პტოლომებთაგან გაულიტა მრავალნი ალექსანდრიის მცხოვრებელთაგან მიდგომისა თვის თავის ძმისა, შესცვალა ისინი საბერძნეთის სწავლულებითა, მხატვრებითა და მუზიკანტებითა. იგინი ძლიერად შეეწეოდნენ განვრცელებასა ყოვლად შესაძლებელ ჰსწავლათა ეგვიპტეში. სიტყვათა მებრ მიხსავე ატენისა იყო ხალხი უმეტეს ალექსანდრიის მცხოვრებთა, მცოდნობისა მუზიკის ქელოვნებისა, უუღარიბესი ხმა ფესვებთაგან უკრავდა, არათუ მარტო ლირაზედ. მხოლოდ ფლეიტასაც. შემდგომს პტოლ-

ომეებთაგან, მამა კლეოპატრიისა, ისრე უყვარდა ეს შემდგომი იარ-
ალი, რომ წოდებულ იქმნა ავლეტად ანუ ფლეიტად.

კტესიბიი ალექსანდრიისკი, მეფობისასა პტოლომეი ევერგეტისა, მოიგონა გიდრავლი ანუ გიდრავლიჩესკი ორღანოის იარალი. ეს აძლევდა ხმასა ძალის მოქმედებითა წყლისა, არა გარკვეული აღწერა ვიტრუვისაგნ, წინააღდეგობს ახსნასა მის კონსტრუქციისასა.

მიუბრუნდეთ ახლა თხზულებათა მუზიკის ისტორიისასა სხუათა უძუელეს ხალხთა. რაცა მიეწერება მუზიკის ისტორიასა ქალდელთ ეგვიპტელებთა, პატივი მაქვს მე ვჰსთქუა შემდგომთ ჩემი სტატიებში, სადაცა ითქმის თანადროული მუზიკაზედ სხუა და სხუა ხალხთა.

რომლისაც განვახელ გარემოებას მუზიკისას სხუა და სხუა უძველებულ ხალხთა, მე ვეცდები დავსწერო იმგვარ მოკლეთ როგორათაც ნებას მამცემს განსამძღვრებულნი სამძღვრები—ამა სტატიისა. საჭიროა შევნიშნოთ რომ, ყოველ ძლიერს, განებიერებულ და სიმტკბოების მოყვარულ ხალხსიგან მუზიკა რომელიც უმატებს ახალს შვენიერებას ყოველთ კმაყოფილებათა, იყო სასიყვარულო განმართული განსაკუთრების ცდილობითა. მაგრამ აღწერა ხარისხეულად ნიჭიერებისა მუზიკისა სხუა და სხუა ხალხთაგან სრულებით შეუძლებელია, მართალია ძველნი დროებანი, შემდგომ ეგვიპტელებთა დაშთებიან მცხოვრებლებთ ხელში სირიისა, ასსირიისა, ბაბილონისა, ხალდეისა ფინიკისა. ამისათვის მე დავიწყობ განხილვასა ნიჭიერებათა მუზიკისასა ამა ხალხებთაგან.

მუზიკა სირიაში იყო უუძვებულ დროში. წიგნში მყოფნობისა, 31—ს თავში 20 ტექსტში ჩვენ ვკითხულობთ შემდგომ სიტყვებთა ლავანისასა, რომელიც აყვედრიდა იაკობსა, თავის ნებით განშორებაზედ: «რა შექმნა ეს (ამბობს იგი), ესე წავიდა და განმაგდო მარტო მე, რამეთუ წაასხა ქალნი ჩემნი, რამეთუ ტყუჳნი—იარაღითა. მე მაინც შევტყო ამაზედ. გაგიშვებდი შენ სიხარულითა, და მუზიკით დატიმპანითა(დოლი) და გუსლითა (არფები, არღნები)» ეს ტექსტი ამტკიცებს სიძველის დროებასა მუზიკასა სირიის მცხოვრები სადაც არსებობდა ხმაზედ და იარაღზედ და მოხმარება მისი ჩვეულებაში სიცოცხლისა. იუვეალი ამბობს, რომ სირია გათქმული იყო მუზიკანტებითა ლარების და სასულიერო იარაღებზედ.

შესაძლოდ მუზიკა იმ დროთვე გადავიდა უეგანებიერებულ და მდი-

დრუბ მუზიკის სხჳა და სხჳა იარაღებითა ხალხთა ხელში, სასულ-დობრივ ასირელებში ბაბილოენებში და ხალდეველებში, ერთი ადგი-ლი დანიელისაგან მესამე თავში პირველიდგან ვიდრე მეხუთე პარაგ-რაფამდე, ცხადად მტკიცდება რომ მუზიკა იმართებოდა იმ ხალხებისაგან და მისწეული იყო უუსისრულეში. ამ ტექსტიბში მოიხსენიება, რომ მეფე ნაბუხოდონოსორმა: ბძანა გაკეთება ოქროს მეგლისა, სიმაღლით სამოცი იდაყვი, განაგრძელებს მქადაგებელი, იგალობდე სიმხნევობით: თქჳენ გელაპარაკებათ ერი ხალხი, გვარნი და ენანი. იმ საათშივე, კიდევ გაიგონო ხმა ტრუბისა, სვირელისაც და გუსლისა, სავიკისაცა და პსალტირისა, და სოშასი და ყოველ-ნაირი მუზიკა, მომცემი, თაყვანი ეცით სხეულსა ოქროსასა, რამეთუ დასდგა ნაბუხოდონოსორ მეფემ.

ამ ტექსტში არიან რამდონიმე მუზიკის მნიშვნელობანი, რომე-ლთა ზედაც უნდა მე ვსთქჳა რამდენი მე სიტყვები:—სიტ-ყვა სოგლასიე ებრაულად მარტინის მამის აზრით არის სხჳა არა-ფერი, მხოლოდ შეერთება ანუ კონცერტი შედგენილი იარაღებითა ანუ ხმებითა. ფრანცუცულ ნათარგმს დაბადებაზედ დავულგატში, ებრა-ული სიტყვა გადმოთარგმნილია სიმფონიისაგან. კალმე და იზიდორ სევილსკი ფიქრობენ რომ ეს არის და ..აბანდი; გრაცი გვარწმუნებს, რომ ეს მოკავებული ფლეიტა არის, სხჳანი ამბობენ ტრუბასა და ან არ ფასა დროიდგან ეს სიტყვა რჩება გამოსაცნობად.

თუ მიეწერება რამე სამფიკსა ანუ სერპენტასა, მაშ მარტინის აზრით ის იყო ხის ფლეიტა ნახვრეტებითა, ეხლა ხან მველი სერ-ტენტი რომელიც ძალიან ხშირად, იხსენება საღმრთო წერილში. იყო ნაპოვნი ვეზუვის ფერფლში, ნაოხრებში პომპეისა; ისა ჰგავს ეხლან-დელს ტრომბოკს, რომელიც პირველად იტალიანცებმა გააკეთეს მისა-ბაძებლად ძველისასა. არსება იმ იარაღებისა დამოწმობა საღრთო წერილისა ძლიერად ამტკიცებენ მშვენიერ შეძლებას მუზიკისასა ბაბ-ილონებთა, მრავალნი მწერალნი როცა აქებდნენ იმათ მდიდრულ ცხოვრებას, იმათი მუზიკის გათქმაც ძალიან გაავრცელეს, ასსირიანე-ბმა მოიგონეს ტრიგონი, და იარაღი სამკუთხიანი ფორმისა. მრავა-ლნი მწერალნი ვითომც იმათივე მოგონილი იყვას პანდური ანუ სირიკნსა, რომელთა ზედაც მეც ვილაპარაკე.

ფინიკიაში უძველეს დროს იყო ხალხი ძალიან შემძლებელი,

რომელთაცა ჰქონდათ საკმაოდ მრავალი მუზიკის იარაღები, მაშასადამე იქაც სცოდნიათ ის ხელოვნება. საქებური ფინიკიის ისტორსკი სანხონსტონი მიუწერს მოგონებას მუზიკისასა ერთს ფინიკიის ქალსა სახელად სიდონსა. მრავალთა შორის ფინიკიანების იარაღებთა მე მოვიხსენიებ სამსა, რომელნიც უმეტესად წარჩინებულია: თვით სახალხო იარაღი—ფინიკალ, მქონი ამისთანა სახელისა პატივისცემლად თავიანთ ჰქვეყნისა ფინიკიასი.—შემდგომ ნაბლუმი, რომელსაც ხმარობდნენ პასუსის დღესასწაულებში და დასასრულ გინგრეისა ფლეიტის მგზავსი, მწუხარის ტონითა. ერთი ფუტის სიგრძე, ის იხმარებოდა დასაფლავების დროს მკვდრისა.

პატარა აზიაში სცხოვრებდნენ სხუა და სხუა ჯურის ხალხნი. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინიც იკეთებდნენ მუზიკასა, ამისათვის რომ ბერძნებმა გარდაიღეს იმათგან უპირველესნი ნეკლოპეკიები, რომელთაც ერქვა პატარა აზიის სახელი, გიაგნის ფრილიეცმა მოიგ ნა, როგორათაც ამბობენ საბერძნეთის ისტორიკები,—ფი ნიკის ნაკლონენიება წინად, ვიდრე მუზიკა გარდატანილი იყო კადმისაგან საბერძნეთში.

გამოვიყვანე რა ეს სტატია მე ბოლოში უნდა მოვიხადო განათლებულ ქართველ მკითხველების წინ უბრალოდ ჩვენებისა თვის მუზიკის სწავლისა ჩემ მიერ მოხსენებულ სხუა და სხუა სახელთაგან მაგრამ უთველნი სივრცენი მუზიკის ხელოვნობისა არა მქელებურს ისტორიკს არ აუწერია და არც აუხსნია; მე მაინც ავსწიე ნაპირის კუთხე იმ ფარდისა და მაინც ღრმა სიბნელეში და განვარჩიე რამე, რომელიც მიეწერება მუზიკასა, ჩუენ ამითაც უნდა ვიყვნეთ კმაყოფილნი; მით უფრო რომ მუზიკა მხოლოდ აღვიარებს ჩუენს პოეზიურ წარმოდგენასა, ებრაელების მუზიკა სანიმუშოა და სასიამოვნოა არა თუთვითონ, ამისათვის რომ ის მომატებულად სხუაზედ არის ჩუენი ნაცნობი—მხოლოდ სასწავლებელიც არის, რადგანაც ღრმათა აქვს გამდგარი ფესვები ჩვენს დროებით სასულიერო მუზიკაში, რეზსა ებრაულ მუზიკაზედ, მე ვილაპარაკებ ჩემ შემდგომს სტატიაში.

იურკევიჩი

შარშან გაზაფხულის დამდეგს ავათ შევიქენ, და როგორ! ისე ღონე წამივიდა ორის თვის განმავლობაში, რო თქვენი მოწონებული. იმ ხანებშიაც ერთს ქალს ერთს ბრილიანჩიკთან ფული ჰქონდა, ის ბრილიანჩიკიც გაკოტრებულიყო, და როგორათაც მოგეხსენებათ იმის ბრილიანტების ნივთეულობა მოვალეთ გაუწილათ, და ამ ქალსაც რამდენი ნაჭერი ნივთი ერგებიყო, რომლებიც თავისთვის საჭირო ყოფილიყო ალღო, დარჩომოდა 4 ნაჭერი რომლებიც გასასყიდათ დაემზადებინა, ეფიქრა, ეს ნივთები თუ ბრილიანჩიკს მივყიდო, ნახევარ ფასს არ მომცემს. თუ შინაობაში ხმა დავაგდო, ბაზარში ერთს ორათ იყიდიან და შინაობაში თავის ფასს არ მისცემენ, ჩვენი ხალხის ადათი ეს არის.—ეფიქრა თუ რა უყოს; სხვა გზა ვერ ეპოვნა. მოეფიქრა თუ ლატარიაში ვათამაშო. ამ 4, ნივთის ფასიც იყო (300) სამასი მანეთი.—მარამ ეს არის თუ ბილეთი ერთი მანეთი იყოს. გვიან შესრულდება. და თუ 5 მანეთი ბევრი ხელის მომწერი არ შეყოლება.—რაქნას ახლა! რაქნას და აი რა მოიფიქრა. თქვა თუ ბილეთს 2. მანეთათ დავწერ და ეს 4 ნივთიც 4. კაცს ერგოთ. და ხელის მომწერნიც ლატარიის თამაშობის დღეს »ლოტოზედ« ჩემთან იყვნენ. აიღო და სადაც იცოდა რო ლოტოს მოთამაშე ბევრი იშოვებოდა, ნაცნობი თუ უცნობი, სულ ყოველგან დაატარა.—და რა გგონიათ. სახურველნო ცისკრის მკითხველნო, თქვენ მზეს გეფიცამ შეიძლება არ დაიჯეროთ თქვენი მზე, ჩემ მზეს გეფიცებით, რო სამს დღეში შესრულდა. ამ გვარათაც რომ სწორე მოგახსენოთ თითონ ლოტოს მოთამაშეთა ხუთი, ათი. ბილეთიც ბევრს ჰქონდა აღებული, მარამ ის 150 ბილეთი, 100 ხულს მეტსა ჰქონდათ აღებული. და ესეც მოგახსენოთ, რო ბევრი ლოტოს მოყვარე დარჩა მომდურავი იმ ქალსა.—თუ რატო ჩვენ არ შეგვატყობინეო. თან გაჯავრებით 2 მანეთის შეძლება არა გვქონდაო, იმ გვარ შეყრილობისათვის ვინ დაზოგამდა ორ სამს მანეთსაო. განა ყოველთვის შეგვხდება აგეთი შემთხვევაო, ასე ემდურებოდნენ რო რა შეყრილობაშიაც ის ქალი შეხვდებოდაო.....

ყური მომიგდეთ ბატონებო თუ რაზედ მოგახსენებთ. სწორეთ მოგახსენებთ, ეს სიტყვა გთხოვთ თქვენთან აღსარებათ დარჩეს. რო დედა ჩემი მრიელ ლოტოს მოთამაშე გახლდათ, ასე რო შემიძლიან დავიფიცო ამ ქალაქში სულ ხუთი არ გამოვიდეს და ჰკო რო-

გოროთაც ზღვით მოგახსენეთ, იმ ხანებში ძრიელ ავათ გახლდი, და რასაკვრელია როგორათაც ლოტოს მოაშიკეთაგანი იყო დედა ჩემი, მოერთვა ის ლატარიის ქაღალდი. იმ დროს მე [illegible]მყოფის. და დედა ჩემს ხელი არ მოეწერა. რა გამომელევიძა დედა ჩემმა მაყურო მო-რიდებით და მშობლიურის ალერსით.—ასე რო სწრაფათ შევატყე თუ ჩემგნით დასტურს თხოულობს.

შეიძლება მიბრძანოთ თუ მშობლისან შვილისგნით დასტური რო-გორ უნდა მოითხოვოს, მარამ ძრიელ შეწუხებული რო გახლდი, არამც თუ დასტურის თხოვნა, არამედ თავსაც გასწირამდა ჩემთვის.

თუმცა შეწუხებული ვიყავ, მარამ დასტური დავეცი, თუმცა არ ისურვებდა ჩემს მარტო დატოვებას, მარამ მაშინვე მოვატანინე ის ქაღალდი, და ხელი მოვაწერე. მეორეს დღეს მოშატიყემ იარა ხელის მომწერებთან თუ ამაღამ ლატარიას ათამაშებენ და ვეჩერში მობრძან-დითო, დედაჩემს არ ვეპეტებოდი რო მარტო დავეტოვე. მარამ შევფიცე რო წიგნებს წავიკითხამ და იმათთან გავერთობი, როდესაც დედაჩემი წავიდა, მაშინვე წიგნი ავიღე ხელში — მარამ თვალები ძრი-ელ დამეღალა და ხელიდგან გავრტყორცე. შემდეგ ვსთქვი თუ რა საგანზედ დავიწყო ჩემს თავთან საუბარი, ამ დროს მომაგონდა ქა-ლაქის დროს გასატარებელი ბევრის სალხინო ლოტო. ვსთქვი თუ რა ცუდი რამ არის ეს ლოტო, და ბევრს კაცს ეჯავრება ეს საძაგე-ლია ლოტოს თამაშობა. მარამ დიდი ხანაა რაც ჩვენში ბუდობს ეს უმგზავსი მოდა. მარამ საკურველია ვერა კაცმა ვერ მო-აკვეთინა თავის სახლობას ამის თამაშობა,—ვსთქვი ჩემ თავათ, თუ მოდი ღონის ძიებაში შევალ, ეგების დედა ჩემს მოვაკვეთინო, ლო-ტოს თამაშობა. მარამ ვსთქვი თუ რა გზითა, რადგანაც უფალი ჩვ-ენი ცისკრის რედაკტორი კეთილი გვამი ბძანდება, ადვილათ გავიცა-ნი, და იმას ძველი ჟურნალები ჰქონდა მოცემული ადრე. და ის ჟუ-რნალები ადრევე წამეკითხა დედა ჩემთან, უმეტესათ გამორჩევით ის სტატიები რომლებშიაც აცხადებდნენ ლოტოს ძაგებას, მარამ ყუ-რიც არ ათხოვა,—შემდეგ ვსთქვი თუ ამაზედ კარგს რას მოვიგონებ დედაჩემს ვეტყვი რო ლოტო აღთქმათ დაუდვას ღმერთსა. ორის სამის დღის შემდეგ ერთხელ დაფიქრებული ვსხედვართ მე და დედა-ჩემი იმ დროს მე უთხარ დედა ჩემს. დედავ ესრეთ რო გამიძნელდა მორჩენა მოდი და აღთქმათ დაუდე ღმერთს რამე. მითხრა თუ შვი-

ლო, ნეტარ მენ გემყვედოს რამე და თუნდა მრთელი ერთი წელიწა-
დი ორშაბათობით მარხვას შევინახამ, მე უთხარ თუ დედავ არა
სხვა რამ იფიქრე. მითხრა ან ერთს წელიწადს ყოველ ორშაბათს
და შაბათს უქმეს შევინახამ, მე უთხარ თუ არა დედავ სხვა რამ იფი-
ქრე; მითხრა თუ შვილო სხვა რა ვიფიქრო, მე უთხარ თუ დედავ
გამიგია რომ კაცს რაც გულით უყვარს ის რომ აღუთქვას, ღმერთი
უეჭველად გულის საწადელს მისცემს. მითხრა, შვილო თუ იცი რამე
მითხარი, მე მოკრძალებით უთხარ თუ დედავ თუ არ გაწყრები აგე
ლოტო რომ აუთქვა, მხურვალეს გულით, იქნება რომ გავიკურნო, რა-
დგანაც ძრიელ გიყვარს ლოტო, თუმცა მნელი დასათმობი იყოს
მარამ სწრაფად დამრთო, — ერთის წლით ვადა დაუდო, ასე რომ
წლის შემთავრებამდის ლოტოს ქაღალდს და ნოშერს ხელი არ მოჰ-
კიდოს. —

იმ ხანებშიაც მოვრჩი, « წორედ მოგახსენოთ არ ვიცი ლოტოს
ძალმა გასჭრა თუ დოხტურის წამალმა. » და აღთქმას უფრო ხამტ-
კიცე დაუწყო. თუმცა ლოტოს მოთამაშეთა დედა ჩემისგნით ხელი
აილეს და მოიძულეს, ასე რომ რა ადაგასაც შეყრილობა იქნებოდა
და იქ ლოტო უნდა ყოფილიყო აღარ ეძახოდნენ დედა ჩემს, თუმცა
ბევრს პირშიაც ემდურებოდა, მარამ ეუბნებოდნენ რომ დაგიძახოთო,
შენთან ლამაზავის დრო ვისა გვაქვსო.

მარამ დედა ჩემმა მტკიცეთ განაგრძო თვისი აღთქმა. ამისთვის
უფრო რადგანაც და მოვრჩი, მარამ ეს არის, ავერ მოღწ-
ეულა და მალე გაუთავდება ვადა. არ ვიცი თუროგორ იქნება. უფა-
ლნო ცისკრის მკითხველნო ვიცი თქვენც ძრიელ ემდურით ამ ხამა-
ქლს ლოტოს, მარამ სწორეთ მოგახსენოთ, მე რომ ამ მტერს ჭკ-
ვით ხერხი უპოვნე, თქვენ უფრო ადვილათ არ შეიძლებთ? მარამ
მე რა ხერხი უპოვე? თუ მომეხმარებით და თქვენგან რამდენიმე ხე-
ლს აალებინებთ, . . . . . . . . . ხო დამიფასდება
შრომა, თუ არა და თქვენი მტერი, ვადის შემდეგ ისევ მიჰყოფს
ხელს.

თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, მარამ ბატონებო წარმოვიდგინოთ
წინ, თუ რამდენგვარათ არის მაწყინარი ჩვენი, ეს ლოტო პირველი
რომ რაც უნდა საჭირო საქმე ჰქონდეს. სახლში და ანუ როგორ
ძვირფასი სტუმარიც უნდა ჰყვანდეს სახლში, თუ ლოტოს მოთამაშე

გვამი ბძანდება, თქვენმა მზემ თავს დაანებებს და მაშინვე გახწევს. მეორედაც ეს გახლავთ იქნება. თქვენები . . . . . . . შემძლე-ბლები არიან და ჩვენებს არ შეუძლიანთ. — თუ ერთს ალაგს შეიყ-არნენ. უეჭველია უნდა ჩვენებიც ათამაშონ. მერე რა პატრონი ლოტო-ოს ეს ზნეცა სჭირს რო ბევრჯელ გაჭირვეულდება, და ბევრს მოთამაშეს მოუა ოთხმოცი ხელიც რო გათავდეს. და ესეც გახლავთ რო ბევრმა მოთამაშეთაგანმა დანიშნებით იციან წაგება, და როგორ, შეურილობი-დან არ გამოვა ისე რო სამი ოთხი მანეთი არ წააგოს. და ბძანეთ თუ კვირაში ხუთ ექვს ალაგას რო შეხვდეს ასე, წელიწადში რა ჯამს (სუმას) დაიჭერს. — შეიძლება ბძანოთ თუ ვსჯო, ნუ ითამაშებსო — მარამ არ შეიძლება. ერთხელ ორჯელ რო უსახსამი ლოტოს თამაშობა იცის, აღარ მოეშვებიან. არცხვენენ, თუ რა არის, ორი სამი აბაზის შემძლება არა გაქვსო. თუ ერთიკი ჩასვეს ლოტოში, თავსკი ვეღარ დააღწევს. ესე რო თუ აგებს ეუბნებიან ეგების დაიბრუნოვო, და თუ მოუგებს არის სირცხვილია ადგომაო. — პირველად ხო ასე ტკბი-ლათ გელაპარაკებიან, თუ წააგე და თადარიქით ფულიც არა გქონი-შენი მტერი, . . . . . . . . .

. . . . , . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ესეც მოგახსენოთ რო ღმერთმა გაამრიელოს ჩვენი ხემწიფე, ყო-ველი მხარი დაგვიპყრო და ასე მშვიდობიანობაში ვართ . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . ბევრჯელ შუა ქალაქში ლოტოს თამაშობა დაიწყობა ხოლმე, და იმ მოთამაშე-თაგანთა, ბევრს სახლი მთაწმინდაში აქვთ და ბევრს კუკიაში, მერე რა, ის თამაშობა ბევრჯელ მოხდება ხოლმე რო . . . .
. . . . შუაღამისა დაიშლება ხოლმე. და იმ დროს იქიდგან შინამდე, ერთი პატარა ბიჭის სინათლე მიდიან. რო საფრანგეთს დიდი სახელი აქვს, თქვენმა მზემ, რო ეს თავის უფლობა არა აქვთ პატრონი იქ უდროოვო დროთ არამც თუ დაიცვა, არამედ მამა კაცსაც გაუჭირდება სიარული.

ესეც მოგახსენოთ რო მოგახსენებენ ამ ცოტას ხანში ოცი ათა-სი კაცი მოსულა ქუთაისში, რკინის გზის გასაკეთებლათ, და ასე აბეჯითებენ რო ვითომც ორ სამ წელიწადში დაასრულებენო. ჩვენი ხემწიფე ამასაც ჩვენის განათლებისთვის ცდილობს.

ი. როტინიანცი.

## რედაქციისაგან.

ბევრზედ არის დარჩომილის ამ წლის წიგნების ფული, რამდენჯერმე მივწერეთ და ვსთხოვეთ გამოეგზავნათ. მაგრამ არა გვეშველა რა; რაც შემოსატანნი იყვნენ, თითქმის იმდენი წიგნების მიწერაში გაგვსვლია,—ახლა ამაზედ მეტი ღონისძიება აღარ დაგვრჩომია რომ უკანასკნელად ვთხოვთ, წარმოადგინონ ხვედრი ფული, ამ მოკლეს დროში, და თუ არ შემოიტანენ, მაშინ მოგვიტევონ რომ. სახალხოთ გამოვაცხადოთ და დავბეჭდოთ სახელი და გვარი იმ პატივცემულეს პირთა.

რედაკტორი

# სხჳა და სხჳა ამბავი

მუზიკის ისტორია. ი. ოურკევიჩის

---

**1866 წლის**

«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გამოგზავნელად 6 მან. დამატებით. 7 მან.

სხჳა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით. 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად თხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით: «ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою 1866. г. 6 мая